ვ. შიშკოვი

ლიდი ზრძოლა პაფარია აგარაკზე

საქართველოს სსრ
საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული“
19 თბილისი 62

1961 წლის შემოდგომაზე იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში ჩატარდა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა IV ტურნირი ჭადრაკში. შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ამერიკის, აზიის, ევროპის ჩვიდმეტმა უძლიერესმა მოჭადრაკემ.

ტურნირი დასრულდა საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვებით; მათ დაიკავეს პირველი სამი საპრიზო ადგილი. პირველი ადგილი და მსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან მატჩის უფლება მოიპოვა ოცი წლის გოგონამ ნონა გაფრინდაშვილმა.

ამ წიგნში ნონა გაფრინდაშვილის მწვრთნელი მიხეილ შიშოვი მოგვითხრობს ვრნიაჩკა-ბანიას ტურნირის, კერძოდ კი ნონა გაფრინდაშვილის ბრძოლის ამბებს.

წიგნს დართული აქვს თენგიზ გიორგაძის ნარკვევი „გამარჯვებული“.



ნონა გაფრინდაშვილი.

ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი 1961 წლის შემოდგომაზე, იუგოსლავიის პატარა საკუროორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში გაიმართა. შეჯიბრების ამბებს უბის წიგნაკში ვიწერდი. ეს ჩანაწერები დაედო საფუძვლად ამ წიგნს.

ალბავს მოგითხრობთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, დღიურების სახით.

22 ოქტომბერი.

პრეტენდენტთა ტურნირის საბჭოთა ძონაწილენი თავს ვიყრით მოსკოვში. ვღელავ. ნონა არ ჩანს. იგი უნდა ჩამოვიდეს ტაშკენტიდან. იქ, როგორც სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის" გუნდის წევრი ნონა მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობის ნახევარფინალში, ახლა კი სადღაც „დაიკარგა".

სხვათა შორის, ჩვენ მთელი ზაფხული მოსკოვის მახლობლად აგარაკზე გავატარეთ, მომავალი ტურნირისათვის ვემზადებოდით. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ნონას აუცილებლად სჭირდება

სპორტულ ფორმაში შესვლა. ამისათვის ზედგამოჭრილი იქნებოდა ტაშკენტის ტურნირი და ნონაც გაემგზავრა თბილისიდან.

შუალამე იქნებოდა, როცა კარებზე კაკუნი შემომესმა.

— მიხეილ ვასილის ძევ, — გავიგონე ზატულოვსკაიას ბწვრთნელის ნაცნობი ტენორი. — მე ვარ, მაკაგონოვი, გამიღეთ კარი.

გახარებული ავდექი. თურმე ნონაც ჩამოსულა. იგი და ტატიანა ზატულოვსკაია მეზობელ ოთახში დაბინავებულან. მაკაგონოვს არ ეძინება. მთავაზობს უზბეკურ ყურძენს და თან მიყვება ტაშკენტის ბრძოლის ამბებს. რა სასიხარულოა: ნონამ თავის დაფაზე პირველი ადგილი დაიკავა და 6 ქულა მოაგროვა 6 შეხვედრაში. იუგოსლავიაში გამგზავრების წინ ასეთი შედეგი ჩინებულია! საქმე მარტო ქულები კი არაა. მთავარი ისაა, რომ მან იგრძნო თავისი ძალა, გამხნევდა — საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცდა.

ყველაფერი რიგზეა. ზეგ იუგოსლავიაში მივფრინავთ.

23 ოქტომბერი.

ადრე გამეღვიძა. ვუცდი ნონას. გოგონები დიდხანს არ იღვიძებენ. ეს მათი „სისუსტეა“, თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამაშია მათი „ძალაც“! ცნობილია, რომ მაგარი ძილი შესანიშნავად ასვენებს ორგანიზმს. ეს კი საუცხოო რამაა დაძაბული

საჭადრაკო ასპარეზობის დროს. გოგონების გაღვიძებას არ ვჩქარობ.

ნონას ძალიან უყვარს ძილი.

როგორც იქნა, ძილს თავი წაართვეს. ნონას დაღლა არ ეტყობა. მასაც ჩამოუტანია შუა აზიის მზით დაშაქრული თითა ყურძენი და ჩვეული მოკრძალებით მთავაზობს.

სასტუმრო „ტურისტიდან" იუგოსლავიაში მიმავალნი საბჭოთა კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირში წავედით. მიგვიღო თავმჯდომარის მოადგილემ.

იუგოსლავიაში ჩვენი სპორტული დელეგაციის ხელმძღვანელმა გროსმაისტერმა იგორ ბონდარევსკიმ დელეგაციის წევრებს გვითხრა:

— მეგობრებო! საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით, სტარტზე, პირველ შვიდ ტურში, ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ერთი ქვეყნის წარმომადგენლები. გადაწყვეტილება ყველას შეეხება, საჭიროა კარგად მოემზადოთ ამ შეხვედრებისათვის და წარუმატებლობის შემთხვევაში არ დაეცეთ სულით.

ამ სიტყვების დროს თვალი გადავავლე ჩვენს მოჭადრაკეებს, ისინი მშვიდად, არხეინად ისხდნენ. ალბათ ყოველი მათგანი გულში ფიქრობდა, სხვამ ინაღვლოს, თორემ მე რა მიჭირსო.

მიღების შემდეგ ბწვრთნელებმა თავი მოვიყარეთ ჩვენი დელეგაციის მთავარ მწვრთნელთან

—საერთაშორისო ოსტატ, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელ ალექსანდრე კონსტანტინოპოლსკისთან. ვიბაასეთ ჩვენს მომავალ მუშაობაზე და გავამზადეთ „სამგზავრო ბიბლიოთეკა“.

24 ოქტომბერი.

ღამის 3 საათზე ავტობუსი შერემეტიევოს აეროდრომისაკენ შიგვაქროლებს. ჩვენს დელეგაციაში არიან ბონდარევსკი, კონსტანტინოპოლსკი, ბინსკელი ოსტატი კირა ზვორიკინა, მისი მწვრთნელი გროსმაისტერი ისააკ ბოლესლავსკი, ლენინგრადელი ოსტატი ლარისა ვოლპერტი და მისი მწვრთნელი, ოსტატი პავლე კონდრატიევი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონს ვალენტინა ბორისენკოს ახლავს მეუღლე—ოსტატი გიორგი ბორისენკო, რომელიც ცოლს ბწვრთნელად მოჰყვება, ბაქოელი ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია და მისი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ვლადიმერ შაკაგონოვი და ჩვენ—მე და ნონა.

აეროდრომზე მცირე ხნის ლოდინის შემდეგ გვიწვევენ თვითმფრინავში ჩასასხდომად. მე რკინიგზელი გახლავართ და ახლაც, როგორც ყოველთვის, თვითმფრინავის დანახვაზე უსიამო გრძნობა მიპყრობს.

თვითმფრინავი ილ-14 ჰაერშია. გვიცხადებენ მარშრუტს: მოსკოვი — კიევი — ლვოვი —ბუდაპეშტი — ბელგრადი. ნონა ზოგჯერ გადმოხედავს მოლიმარი თვალებით, თითქოს მეკითხება: ხომ

არ შეშინდიო. მაგრამ არა. თავს ჩინებულად ვგრძნობ. შესანიშნავი აშინდია. სარკმლიდან გადავყურებ ზღვასავით გადაშლილ უნაპირო ღრუბლებს. ასე მგონია, ყინულოვან ოკეანეში ვიცურავთ.

მგზავრობა რვა საათს გაგრძელდა. ბელგრადის აეროდრომზე შეგვხვდნენ იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელი შდივანი კაჟიჩი, ცნობილი გროსმაისტერი სვეტოზარ გლიგორიჩი, ფედერაციის მდივანი, თბილისში გაცნობილი ტიხონირ აკკეტა, რომელიც ჩვენს დედაქალაქში საერთაშორისო ტურნირზე ჩამოყვა ახალგაზრდა, ნიჭიერ კატია იოვანოვიჩს. დამხვდურთა შორის ბევრია ჟურნალისტი, გაზეთებისა და რადიოს კორესპონდენტი. ვიკროფონთან სთხოვენ ყველა ჩამოსულს. რეპორტიორებს აინტერესებთ ნხოლოდ ორიოდე სიტყვა პრეტენდენტთა ტურნირისა და პროგნოზების შესახებ. როცა ჯერი ნონაზე მიდგა, მან იუგოსლავიის მოჭადრაკეებს სალამი გადასცა საბჭოთა მოჭადრაკეთაგან, ხოლო შეკითხვაზე — „როგორ აპირებს ითამაშოს ტურნირში“, მოკლედ მოსჭრა: „დრო გვიჩვენებს!“

ავტობუსით მივემგზავრებით ბელგრადში. პირველი შთაბეჭდილება ასეთია: მდინარე დუნაისთან შენდება ახალი ბელგრადი ქვის, ბეტონისა და მინისაგან.

დავბინავდით სასტუმრო „პრაღაში“. მასპინძლებს აქვე გადავეცით საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავის სამკერდე ნიშნები.

საღამოს ყველანი ეროვნულ რესტორან „სერბიაში“ მიგვიწვიეს, სადაც პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეთა და მათი ბწვრთნელების პატივსაცემად ბანკეტი გაიმართა. თავიდანვე მეგობრული განწყობილება დამყარდა. რესტორანში უკრავდა პატარა საესტრადო ორკესტრი. ჩვენი მოჭადრაკეების დაკვეთით ორკესტრის სოლისტმა, ბოშა ქალმა, ორკესტრის თანხლებით შეასრულა „მოსკოვის საღამოები“. მე და ნონამ ვთხოვეთ რევაზ ლაღიძის სიმღერის „თბილისოს“ შესრულება. თან ვფიქრობდით, ვაითუ არც გაეგონოთო, მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად გვიმღერეს ნშობლიური ჰანგები. გვესიამოვნა, რომ ქართული სიმღერა იუგოსლავიაშიც დაგვხვდა.

25 ოქტომბერი.

თითქმის შუადღემდე ავტობუსით დავდიოდით ქალაქში და ვეცნობოდით ბელგრადის ღირსშესანიშნაობებს. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ბელგრადის განთავისუფლების დროს დაღუპულ საბჭოთა მეომრებისა და იუგოსლავიის პატრიოტების ძმათა სასაფლაოზე აღმართულმა ძეგლმა. ქალაქში მრავალი არქიტექტურული ნაგებობა იუგოსლავიაში თურქ დამპყრობთა ბატონობის დროს არის აგებული. თურქები თითქმის



ვრნიაჩკა-ბანია. შენობა, სადაც მიმდინარეობდა პრეტესდენტთა ტურნირი.

ხუთი საუკუნე თარეშობდნენ იუგოსლაველთა მიწა-წყალზე.

ნონა და კირა ზვორიკინა წარამარა ფოტოაპარატს აჩხაკუნებენ. ამინდი ნამდვილად თბილისური დგას – ზზიანი, თბილი.

დღის პირველ საათზე (თბილისის დროით ოთხ საათზე. ჩვენი დრო იუგოსლავურს სამი საათით უსწრებს) ავტობუსით გავემგზავრეთ ცნობილ კურორტ ვრნიაჩკა-ბანიაში, რომელიც ბელგრადს 200 კილომეტრითაა დაშორებული.

ვრნიაჩკა-ბანია სერბიის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ, მთიან რაიონში მდებარეობს. მისი ბოსახლეობა 5.000 კაცს არ აღემატება. კურორტზე სამკურნალოდ და დასასვენებლად ასი ათასამდე კაცი ჩამოდის. ვრნიაჩკა-ბანიას გარშემო ტყიანი მთები აკრავს. ამიტომ აქ ალპიური, უქარო ჰავაა. ყველაზე ლამაზია გოჩის მთა — 1147 მ ზღვის დონიდან.

აქ უხვადაა თბილი, ნახშირწყალბადით მდიდარი მინერალური წყლები, რომელთა ტემპერატურა სხვადასხვაა. მაგალითად, „სნეჟინკას“ ტემპერატურაა +17 გრადუსი, ხოლო „თბილი წყლების“ +36,5 გრადუსი. ამ წყლების სამკურნალო თვისებების შესახებ რომაელებმა ჯერ კიდევ მეორე საუკუნეში იცოდნენ. ვრნიაჩკა-ბანიაში სამკურნალოდ ჩამოდიან კუჭით, თირკმლებით, რევმატიზმით დაავადებულნი. მაგრამ ბიულეტენში,

რომელიც პრეტენდენტთა ტურნირზე გამოდიოდა, აღნიშნული იყო, რომ კურორტის წყლებს შეუძლია „უმკურნალოს“ ყველა მოჭადრაკეს, რომელსაც ცუდად ექნება საქმე ტურნირში.

ლაბაზმა ბუნებამ შეგვიბისუბუქა მომქანცველი, გრძელი გზა. საღამოს, დაბინდებისას, ჩავედით ვრნიაჩკა-ბანიაში. დავბინავდით სასტუმრო „სლაბოდაში“, რომლის წინ თავი მოეყარათ გულშეძატკივრებს. ისინი ცოცხალ ყვავილებს სთავაზობდნენ სტუმრებს.

სასტუმროს მესამე სართული სწრაფად მონათლეს და „საჭადრაკო“ უწოდეს, რადგან უმრავლესობას აქ დაგვეთმო ბინა. თავარმა ნწვრთნელებმა დაიკავეს ორსაწოლიანი ოთახი, რომელიც ჩვენს „შტაბად“ იქცა.

დაღლილებმა, შთაბეჭდილებებით აღსავსეებმა დასვენება ვარჩიეთ. ხვალ ტურნირის საზეიმო გახსნაა.

26 ოქტომბერი.

ვრნიაჩკა-ბანია ადრე იღვიძებს. ჩვენი სასტუმროს შორიახლო ბაზარია. აქ ბევრი ხილი სცოდნია. ბაზრის თაროები სავსეა კომშით, ვაშლით, ყურძნით, რომელიც ჩამოაქვთ მეზობელი სოფლების გლეხებს.

დილით მე და მაკაგონოვი გამოვედით სასტუმროდან, რომლის წინ აღუმართავთ პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილე ქვეყნების სახელ-

მწიფო ალმები. ასეთივე ალმებითაა მორთული წყლით სამკურნალო შენობა, რომლის თერმიულ დარბაზში თითქმის ერთი თვის მანძილზე ერთმანეთს შეეჯიბრება მსოფლიოს 17 გამოჩენილი მოჭადრაკე ქალი. ქალაქის ქუჩებში გაეკრათ აფიშები, რომლებზეც გამოსახული იყო გოგონა ზეაწეული ხელით—ნუ ჩაივლით ისე, რომ არ დაესწროთ მსოფლიო ჩემპიონის წოდების კანდიდატთა ტურნირს.

გვიანი შემოდგომაა. ხეებს აქა-იქ შერჩენია ფოთლები. პარკის ბილიკები შემოდგომის ფოთლებს ხალიჩასავით მოუქარგავთ. ჰაერში შემოდგომის ყვავილთა სურნელი ტრიალებს.

შ. შოდე დე სილანი.

დილაა. სამკურნალო წყაროებთან ბევრი ხალხია. ისინი ადრე მოიჩქარიან აქ მაცოცხლებელი წყლის დასალევად.

შავთვალა, ეშხიანი სერბიელი ქალები მშვიდად საუბრობენ.

ვბრუნდებით სასტუმროში, რათა ვისაუზმოთ რესტორნის მცირე დარბაზში, რომელიც საგანგებოდ გამოყვეს მოჭადრაკეების, მწვრთნელები-

სა და ტურნირის „ნსაჯთა კოლეგიისათვის. მაგიდებზე ‘ასპინძლებს მონაწილეთა სახელმწიფო ალმების გვერდით ცოცხალი ყვავილების თაიგულები დაუდგამთ.

ვაწყდებით პირველ „სიძნელეს“: რა შევუკვეთოთ საუზმედ. სქელტანიანი მენიუ ფრანგულ, გერმანულ და სერბიულ ენებზეა შედგენილი. უფროსი მომტანი, კეთილი, მოღიმარი სახის დობრიცა გვეხმარება სერბიული კერძების ამორჩევაში.

საუზმე დანიშნულია გარკვეული დროისათვის. ამიტომ მონაწილეთა უმრავლესობა რესტორანშია. ნონა თავის მეგობარ კირა ზვორიკინასთან ჯდება, რომელსაც მოსკოვის მახლობლად აგარაკზე დაუმეგობრდა.

ფრანგი შანტალ შოდე დე სილანი ღიმილით გვესალმება. იგი, ასაკის მიუხედავად, მომხიბვლელი ქალია. ჩანს, თავს უვლის, რაკი ერთ ფინჯან ყავას დასჯერდა. შოდე დე სილანი ოთხი შვილის დედაა. მას გვერდით უზის გამოცდილი ჰოლანდიელი მოჭადრაკე ფანი ჰეემსკერკი. ამ ხანში შესულ ბანდილოსანს უფრო ხშირად უხდება კაბების კერვა, ვიდრე ჭადრაკის თამაში. იგი შესანიშნავი მკერავია.

მაგიდას, რომელზეც უნგრეთის სახელმწიფო ალამია, უსხედან ევა კარაკაშნე და მისი მწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი სილადი. კარაკაშნე

შუახნის ქალია. მას მრავალ საერთაშორისო ტურ-ნირში მიუღია მონაწილეობა. ომის დროს თავის თავზე განიცადა ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების „სიკეთე“. სილადი ბუდაპეშტის საჭადრაკო კლუბში ხელმძღვანელობს მოჭადრაკე ქალთა დიდ ჯგუფს. ამავე დროს იგი უნგრეთის მოჭადრაკე ქალთა ნაკრები გუნდის ბწვრთნელია.

ტურნირის უხუცესი მონაწილენი, გერმანელი ფრიდა რინდერი და ამერიკელი გიზელა გრესერი, ყოველთვის ერთად არიან. ბწვრთნელი არც ერთს არ ახლავს. როგორც ჩანს, მათი ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციებს არ გააჩნდათ სახსრები ბწვრთნელის გაწოსაგზავნად.

გასასვლელთან გრძელ მაგიდას უსხედან იუგოსლავიის უძლიერესი მოჭადრაკე ბილუნკა ლაზარევიჩი, მისი ბწვრთნელი—ოსტატი მინიჩი, იუგოსლავიის ჩემპიონის ვერა ნედელკოვიჩის ბწვრთნელი, საერთაშორისო ოსტატი ჯურაშევიჩი, 23 წლის ამერიკელი ლიზა ლეინი და ახალგაზრდა ჟურნალისტი სარაევოდან—ბელიცა.

ბილუნკა ლაზარევიჩი იუგოსლავიის მეორე მოჭადრაკეა. იგი ახალგაზრდა დედაა. მას სამი თვის შვილი ჰყავს. ლაზარევიჩი უაღრესად ნიჭიერია, მაგრამ ცოტას მუშაობს თავის თავზე. ძალზე სიმპათიურია და გემოვნებით აცვია.

ამერიკული ჭადრაკის „ვარსკვლავი“ ლიზა ლეინი ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი პიროვნებაა.

იგი მოხდენილია, საუცხოოდ გამოდის ფოტოსურათებზე. თუ დავუჯერებთ რეკლამას, რომელიც მას გაუკეთა ჟურნალმა „ამერიკამ“, იგი პირველი ადგილის სერიოზულ კონკურენტად უნდა ვიგულოთ. მაგრამ ხვალ პირველი ტურია და ვნახავთ, თუ რა შეუძლია ამერიკელ ჩემპიონს.

დარბაზის ბოლოში ზის ვერა ნედელკოვიჩი. იგი გაზეთს კითხულობს და რაღაცაზე ფიქრობს. მას შავი, მოელვარე თვალები აქვს.

— ნედელკოვიჩი კორჩნოის ჰგავს,—მეუბნება ა. კონსტანტინოპოლსკი.

მართლაც, გამოხედვაში აქვთ რაღაცა საერთო.

ვერიცა, როგორც ბუგოსლაველები უწოდებენ ვერა ნედელკოვიჩს, გემთმშენებელი ინჟინერია-ინსტიტუტში გემების დაგეგმარებას კითხულობს. ორი შვილი ჰყავს.

მიმდინარე ზაფხულში მან ჩინებულად ითამაშა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ამხანაგურ მატჩში. 5 ქულა მოაგროვა 6-დან. მას მოუხდა თამაში ვოლპერტისა და ბორისენკოს წინააღმდეგ. ამიტომ ვერა ნედელკოვიჩის შანსები პრეტენდენტთა ტურნირში ძალიან დიდია.

აქვე არიან ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა მოჭადრაკე მონღოლეთიდან ჰუნდსურენი და მისი ნწვრთნელი ნამჟილი. მონღოლი მოჭადრაკე სწავლობს მოსკოვის საგეგმოეკონომიურ ინსტიტუტში. იგი 21 წლისა

განუყრელნი არიან რუმინელი მოჭადრაკეები, საერთაშორისო ოსტატები, ჟურნალისტი ელიზბეტ პოლიქრონიადე, ჩინური ენის სპეციალისტი ალექსანდრა ნიკოლაუ და მათი ნწვრთნელი ოსტატი სემიანუ.

ერთ მაგიდასთან მოუყრიათ თავი. იგორ ბონდარევსკის, ვლადიმერ მაკაგონოვს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ლარისა ვოლპერტს, ინჟინერ ტატიანა ზატულოვსკაიას და პავლე კონდრატიევს.

მეგობრული ატმოსფერო სუფევს.

ტურნირის საზეიმო გახსნა დანიშნულია 5 საათისათვის. დრო ბევრი გვაქვს. ამიტომ უმრავლესობამ ვარჩიეთ ვრნიაჩკა-ბანიას დათვალიერება. ბოლოს ერთხმად დავასკვენით, რომ ეს საუცხოო კურორტი ძალიან წააგავს ბორჯომს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ბორჯომის წყალს აქაური წყალი ვერ შეედრება.

ტურნირის საზეიმო გახსნას მრავალი სტუმარი დაესწრო. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, სპორტის ოსტატმა სტანჩევმა მონაწილეებს გააცნო საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის მიერ დამტკიცებული შეჯიბრების დებულება.

— ტურნირში მონაწილეობს 10 ქვეყნის 17 წარმომადგენელი,—განაცხადა მან,—პირველ ადგილ-

ზე გამოსულ მოჭადრაკეს ენიჭება უფლება 1962 წელს მატჩში შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვას. მეორე-მესამე ადგილებზე გამოსულნი პერსონალურად დაიშვებიან პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში. თუკი პირველ ადგილს გაიყოფს ორი მოჭადრაკე, მაშინ აქვე გაიმართება დამატებითი მატჩი და ისინი ოთხ პარტიას ითამაშებენ. ტურნირის რეგლამენტი ასეთია: ორი ტური, გადადებული პარტიების დამთავრება, კიდევ ორი ტური, ისევ გადადებული პარტიების დამთავრება, დასვენების დღე. მოსაფიქრებელი დრო—2,5 საათი 40 სვლაზე თვითეულს.

მსაჯთა მაგიდასთან იხმობენ პრეტენდენტთა წინა ტურნირში გამარჯვებულს კირა ზვორიკინას.

საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დადგენილების შესაბამისად, ერთი ქვეყნის მოჭადრაკეები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ტურნირის სტარტზე. საბჭოთა მოჭადრაკეებს შესთავაზეს 9-დან 13 ნომრამდე. ზვორიკინას შეხვდა მეთერთმეტე ნომერი, ბორისენკოს—მეცამეტე, ვოლპერტს — მეცხრე, გაფრინდაშვილს — მეთორმეტე, ზატულოვსკაიას—მეათე. მალე სატურნირო ცხრილიც შეივსო.

1. ს. ჰუნდსურენი (მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა)
2. ფ. რინდერი (გფრ)
3. ე. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია)

4. ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი)
5. გ. გრესერი (აშშ)
6. შ. შოდე დე სილანი (საფრანგეთი)
7. ჰ. კონარკოვსკა (პოლონეთი)
8. ფ. ჰეენსკერკი (ჰოლანდია)
9. ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი)
10. ტ. ზატულოვსკაია (სსრ კავშირი)
11. კ. ზვორიკინა (სსრ კავშირი)
12. ნ. გაფრინდაშვილი (სსრ კავშირი)
13. ვ. ბორისენკო (სსრ კავშირი)
14. ლ. ლეინი (აშშ)
15. ა. ნიკოლაუ (რუმინეთი)
16. მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია)
17. ე. კარაკაშნე (უნგრეთი)

კენჭისყრის დროს ვფიქრობდი: ნონა თეთრებით შეხვდება ზატულოვსკაიას, ბორისენკოს, შავებით— ვოლპერტსა და ზვორიკინას. ეს კარგია, რადგან ბორისენკო შავებით სუსტად თამაშობს. ცუდია, რომ იუგოსლავიის მოჭადრაკეებს შავებით ეთამაშება. სამაგიეროდ, თეთრებით უწევს „მუშაობა“ რუმინელი ოსტატებისა და კარაკაშნეს წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ყველაფერი რიგზეა. საბჭოთა მოჭადრაკენი ხუთნი არიან. ერთ მათგანს წყვილი არა ჰყავს და პირველ თამაშს უცხოელთან ჩაატარებს. ამიტომაც ნონა პირველ პარტიას ეთამაშება კონარკოვსკას. ახლა მთავარია წარმატებით ჩაატაროს ნონამ თავისი პირველი პარტია

კონარკოვსკასთან. პირველ შედეგს, როგორც ცნობილია, დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

სასტუმროში მე და ნონა ერთად ვბრუნდებით. აქ უკვე ექვსი საათისათვის ღამდება. ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი, რაც კარგი ამინდის მომასწავებელია.

27 ოქტომბერი.

გუშინდელი საღამოსა და დღევანდელი დილის მეცადინეობის შემდეგ დაგვრჩა თითქმის სამი საათი დრო. რა ვიღონოთ, რომ საჭადრაკო „ციებცხელებას“ მცირე ხნით მაინც განვერიდოთ?! გადავწყვიტეთ თავი სპორტით გავირთოთ. ეს ხომ ისედაც აუცილებელია დამღლელი გონებრივი მუშაობის დროს. და, აი, ნონამ, მე და ტურნირის დირექტორმა მიშა პეტრონიჩმა უფროს დემონსტრატორ დიმიტრიევიჩთან ერთად ყველა სასტუმრო შემოვიარეთ მაგიდის ჩოგბურთის საძებნელად. მხოლოდ ორი დღის შემდეგ მივაგენით მას საცურაო აუზის შენობაში. აუზი არ არის შორს ჩვენი სასტუმროდან. აუზის დირექციამ მე ჩამაბარა ჭიშკრის გასაღები, რის გამოც გონებამახვილმა მასპინძლებმა „აუზის დირექტორად“ მომნათლეს.

საღამოს, დიდ დარბაზში, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, ტევა არ იყო. პირველი რიგები დაიკავეს მწვრთნელებმა, კორესპონდენტებმა.

სტარტი საუცხოოდ აიღო ლაზარევიჩმა, რომელმაც ნედელკოვიჩთან პარტია მოსაგებ მდგო-

მარეობაში გადადო. კარაკაშნემ დაამარცხა რინ-
დერი, ჰეემსკერკმა—ზვორიკინა.

ნონა გაფრინდაშვილმა კონარკოვსკასთან აირჩია ესპანური პარტია, რითაც გააკვირვა პოლონელი. ადრე ნონა მხოლოდ სიცილიურ დაცვას თამაშობ-და. ბრძოლა გენიალური რუსი მოჭადრაკის მი-ხეილ ჩიგორინის სისტემის მიხედვით წარიმართა. შუა თამაშში კონარკოვსკამ მოხდენილად გადააჯ-გუფა თავისი ფიგურები და განიზრახა გაფრინდა-შვილის მეფის ფრთის დალაშქვრა. ქართველი ოს-ტატი მიუხვდა ჩანაფიქრს. ლაზიერის ღრმა მანევ-რით მან არამარტო გააქარწყლა მუქარა, არა-მედ თვითონ წამოიწყო სახიფათო იერიში კონარ-კოვსკას მეფის წინააღმდეგ. პოლონელმა ვერ ააწყო დაცვა და ოცდამეთექვსმეტე სვლაზე შეურიგდა წაგებას.

საყურადღებო გამარჯვებაა! ადრე ნონა თითქოს უხალისოდ თამაშობდა ტურნირის პირველ პარტი-ებს. აგებდა ან ყაიმით ამთავრებდა. ფსიქოლოგი-ური გარდატეხა მისასალმებელია.

მწვრთნელების ყურადღება თავიდანვე მიიზიდა გრესერისა და ლეინის პარტიამ. განსაკუთრებით გვაინტერესებდა ლეინის თამაში. მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა. უკვე მე-11 სვლაზე მან ვერ შეამ-ჩნია ელემენტარული გზით მხედრის დაკარგვა. გრესერმა დიდი მატერიალური უპირატესობა სწრაფად მიიყვანა გამარჯვებამდე. მაშასადამე,

დავასკვენით ჩვენ, ლენინი არც ისეთი ძლიერი ყოფილა, როგორც აბბობდნენ.

ვოლპერტმა საინტერესოდ ჩაატარა პარტია ზატულოვსკაიასთან და გადადო იგი მოსაგვებ მდგომარეობაში. დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში შეწყდა ბორისენკოსა და შოდე დე სილანის აარტია. პოლიქრონიადესა და ნიკოლაუს პარტია არ შედგა, რადგან მათ დააგვიანეს ჩამოსვლა. ჰუნდსურენი ისვენებდა.

ლ. ლენინი.

28 ოქტომბერი.

დილით სასტუმროს ფოიეში შევხვდი ტურნირის დირექტორს ბიშა პეტრონიჩს. ვისაუბრეთ პირველ შთაბეჭდილებებზე. იგი აქებს ნონას თამაშს, მის მოთმინებას, დაფასთან მუშაობის უნარს. ლიზა ლენინზე შეწუხებული ლაპარაკობს, მას უსიამოვნება შეემთხვაო: პარტიის წინ დაუკარგავს სათვალის ძვირფასი შუშა და განაწყენებული თამაშობდაო.

სადილობისას მომტანი დობრიცა ღიმილით ეკითხება ნონას პარტიის შედეგს:

— აა, მოიგეთ? მაშ რა მოგიტანოთ სადილად?

— სერბიული კერძები. პაბრიკუ არ დაგავიწყდეთ!—ეუბნება ნონა.

— კეთილი, მგონი, გუშინაც პაბრიკუ მიირთვით.

ამ სიტყვებზე გაგვეღიმა. მართლაც, გუშინ ნონამ პაბრიკუ გასინჯა. გემრიელი იყო. ან ვის არ უყვარს ბულგარული წიწაკა სტაფილოთი და ტომატით. იგი მსუბუქი საჭმელია, ხოლო ტურნირის დროს ხორციანი საჭმლის ჭამა „აძინებს“, ადუნებს მოჭადრაკეს. ნონას სადილი შედგებოდა დეკეულის ხორცის სუფის, პაბრიკუსა და კომპოტისაგან.

თამაშის დაწყებამდე ოციოდე წუთით ადრე ნონა მიდიოდა სატურნირო დარბაზისაკენ. მიხეილ ბოტვინიკის „რეცეპტით“ სეირნობდა პარკში, ისვენებდა, გონებას იკრებდა.

II ტური განსაკუთრებული დაძაბულობით აღინიშნა. რვა პარტიიდან დამთავრდა მხოლოდ ოთხი შეხვედრა. კარგად ითამაშა ლეინმა შოდე დე სილანთან. რინდერმა შედარებით ადვილად სძლია გამოუცდელი ჰუნდსურენი.

ბრწყინვალე პარტია მოუგო ლაზარევიჩმა პოლიქრონიადეს. აი, ეს პარტიაც:

8. ლაზარევიჩი—ე. პოლიქრონიადე

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. d4 cd 3. c3 dc 4. ♘:c3 d6 5. ♗c4 ♘c6 6. ♘f3 e6 7. 0—0 ♘f6 8. ♕e2 a6 9. ♖d1 ♕c7 10. ♗f4 c5 11. ♘d5! ♕d8 12. ♗e3 ♘: d5 13. ed ♘a5. 14. ♗d3 b5 15.

b4! dc4 16. g:c4 bc 17. ლ: c4 ge7 18. a4 0—0 19. b5 f5 20. d:c5 dc 21. d6+ მფh8 22. dc ლ:c7 23. gc5 ლc7 24. b6 ლc6 25. ed6 ლc8 26. ec1 gd7 27. b7 ehb8 28. g:d7! ლ:d7 29. g:f8 e:f8 30. ლ:a6 ehb8. 31. ehb1 g6 32. a5 c4 33. ლa7 შავები დანებდნენ.

ვ. ნედელკოვიჩთან და პოლიქრონიადესთან ამ პარტიების შემდეგ ნათელი გახდა, რომ ლაზარევიჩი საუცხოო სპორტულ ფორმაშია!

ბორისენკომ ვერ გასტეხა კონარკოვსკას თავდადებული წინააღმდეგობა და ყაიმს შეურიგდა. ზვორიკინასა და ვოლპერტის პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო ზვორიკინას უპირატესობით.

„გაბრაზებულმა“ ნედელკოვიჩმა ჯავრი კარაკაშ. ნეზე იყარა. პარტია მოსაგებ პოზიციაში გადადო

კარო-კანის დაცვაში, რომელსაც ჰეემსკერკმა მიმართა, გაფრინდაშვილმა ხელთ იგდო ინიციატივა. გონებამახვილური თამაშით მან ხარისხიც მოიგო. მაგრამ ჰეემსკერკმა შესანიშნავად ჩაატარა დაცვითი მანევრები და თითქმის გაათანაბრა თამაში. პარტია გადაიდო. ნონამ ჩაიწერა სახიფათო სვლა პაიკით, რითაც დაასუსტა თავისი მეფის ფრთა.

შუაღამემდე ვარჩევდით ი. ბონდარევსკი, ა. კონსტანტინოპოლსკი და მე გადადებულ პოზიციას. მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჰეემსკერკს უკეთესი მდგომარეობა აქვს. მაგრამ გამოირკვა, რომ ნონას აქვს დაცვის შესაძლებლობა.

29 ოქტომბერი.

უკვე დილის 6 საათზე მე და ნონა გადადებულ პოზიციას მივუსხედით. საუზმემდე გულმოდგინედ ვარჩევთ. შრომას ტყუილად არ ჩაუვლია. მოვნახეთ საუკეთესო გაგრძელება — ხარისხის უკან დაბრუნებით — ბრძოლა ინიციატივისათვის.



დაფაზე თქვენ ხედავთ პოზიციას შავების 52-ე სვლის შემდეგ. პარტია გაგრძელდა ასე:

53. ეხd2 კ:d2 54. ე:d2 კ:h5 55. ედ4 კe8 56. ე:f4 h5. (შეცდომაა. საჭირო იყო 56... g6) 57. მფg3 hg 58. fg g6 59. მფh4 gf 60. მფ:g5 fg 61. ე:g4 b6 62. მფf6 bc 63. bc კh5 64. ეg7+ მფh8 65. ეg2! (ოთხრების მიზანია ხელი შეუშალონ a პაიკის წინსვლას) 65... კf3 66. ეb2+ მფc7 67. მფe5 კd5 68. მფd4 კf3 69. მფc3 კe4 70. ეh6 a5 71. ეa6 მფd7 72. მფd4 კf3 73. მფe5 (გზას უღობავს შავ მეუეს. ნონას შესანიშნავად მიჰყავს თეორიული დაბოლოება) 73... კe2 74. ეa7+ მfc8 75. მფd6 კf3 76. ე:a5 მfb7 77. ეa2 კ:h4 78. ეb2+ მف:8 79. ეb6 კf3 80. ე:c6 შავები დანებდნენ.

ეს დაძაბული პარტია თითქმის 10 საათს გაგრძელდა. თუ ამას დავუმატებთ იმ დროს, რაც დასჭირდა ანალიზს, ნაშინ ჭადრაკის მოყვარული წარმოიდგენს, რამდენი დრო და ენერგია სჭირდება მოსაგები პარტიის მოგებამდე მიყვანას.

ბევრი დრო დაახარჯა ბ. კონდრატიევმა ვოლპერტის ორი გადადებული პარტიის (ზატულოვსკაიასთან და ზვორიკინასთან) ანალიზს. არც ბოლესლავსკის დაუკლია მონდომება. ამ დღეს გროსმაისტერს კურიოზული ამბავი შეეშთხვა:

სადილის შემდეგ ბოლესლავსკი ეძებდა ზვორიკინას პარტიის გასარჩევად. იგი შეცდომით შევიდა... ვოლპერტის ოთახში. იქ არავინ იყო, საჭადრაკო დაფაზე კი გაწყობილი იყო ზვორიკინა—ვოლპერტის პარტიის ნაცნობი პოზიცია. ბოლესლავსკი მიუჯდა მაგიდას და დაიწყო ანალიზი, რაკი თავი ზვორიკინას ნომერში ეგონა.

— ვერაფერს მივხვდი,—ყვებოდა შემდეგ ბოლესლავსკი,—მხოლოდ ავეჯის წყობა მეუცხოვა. მაგრამ არაფრად ჩავაგდე. ხომ იცით, ქალებს უყვართ დეკორაციების შეცვლა.

კარი შემოაღო ვოლპერტმა. ბოლესლავსკის დანახვაზე შეკრთა. ალბათ, ზვორიკინასთან მოვხვდიო. მაგრამ, როცა ლოგინის ქვეშ თვალი მოჰკრა თავის ფეხსაცმელებს, ყველაფერს მიხვდა.

— თქვენ აქ რას აკეთებთ!—ჰკითხა ვოლპერტმა დაუპატიჟებელ სტუმარს.

— პარტიას ვარჩევ,—მიამიტად უპასუხა გაკვირვებულმა ბოლესლავსკიმ.

ის იყო ვოლპერტმა გულიანად გაიცინა, რომ ოთახში შემოიჭრა ზვორიკინა, რომელიც თურმე ნახევარი საათია ეძებდა თავის მწვრთნელს.

ლაზარევიჩმა დაამარცხა ნედელკოვიჩი.

II ტურის შემდეგ დაწინაურდნენ გაფრინდაშვილი და ლაზარევიჩი.

ტურნირის სტარტი ნონასთვის სახარბიელო აღმოჩნდა. ხვალიდან ნონას უწევს თამაში საბჭოთა ოსტატებთან. მისთვის იწყება მეტად საპასუხისმგებლო შეხვედრები, რომლებზეც ბევრია დამოკიდებული. ნონას ესმის ეს. იგი, როგორც ყოველთვის, მშვიდია. 11 საათზე მიდის დასაძინებლად.

ერთმანეთთან საბჭოთა მოჭადრაკეების შეხვედრების დროს დელეგაციის ხელმძღვანელი და მთა-

ვარი ბწვრთნელი „ნეიტრალურნი“ არიან, ისინი არ ერევიან ჩვენს „შინაურ“ საქმეებში.

30 ოქტომბერი.

დილაა. მე და ნონა ვემზადებით ვოლპერტთან შესასვედრად. დებიუტი ჩვენ ჯერ კიდევ ზაფხულში გვქონდა მომზადებული. ადრე ნონა ვოლპერტს მხოლოდ ძველინდურ დაცვას ეთამაშებოდა. ახლა მას პატარა ფსიქოლოგიური სიურპრიზი მოვუმზადეთ: ნონა ითამაშებს ლაზიერის მიღებულ გამბიტს, რაც ადრე თითქმის არც ერთხელ არ გამოუყენებია. გავიმეორეთ საჭირო ვარიანტები და გავემართეთ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. წამოგვყვნენ ა. კონსტანტინოპოლსკი და კ. ზვორიკინა.

ნონა ძალიან კარგად თამაშობს მაგიდის ჩოგბურთს. იგი ყველას უგებს. ამიტომ გავიყავით, ვითამაშეთ შერეული წყვილით. მე და ა. კონსტანტინოპოლსკი ვცდილობდით გამოგვეყენებინა ჭადრაკის „სტრატეგია და ტაქტიკა“, მაგრამ ამაოდ. ხშირად მაინც ნონა გვჯობნიდა.

მალე შემოგვიერთდნენ სტანჩევი, სამივე რუმინელი, ოსტატი მინიჩი, ჟურნალისტი ბელიცა.

სადილზე ნასიამოვნები დავბრუნდით. ნონა დასეირნობს თამაშის წინ. ყველაფერი საათივით გვაქვს აწყობილი. ამას არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოჭადრაკის წარმატებისათვის.

ზუსტად 4 საათზე, როგორც ყოველთვის, მსა-

ჯებმა ჩართეს საათები. III ტური დაიწყო. ყურადღების ცენტრშია ვოლპერტ—გაფრინდაშვილის, ზატულოვსკაია—ზვორიკინას, გრესერ—ლაზარევიჩისა და პოლიქრონიადე—კარაკაშნეს პარტიები.

ლ. ვოლპერტი.

ყველა პარტიაში საინტერესო და დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს. ტურნირზე დამსწრე გროსმაისტერები და ოსტატები ერთხმად აღნიშნავენ, რომ საგრძნობლად ამაღლდა მოჭადრაკე ქალთა თამაშის დონე. ალბათ თვით ვერა მენჩიკსაც გაუძნელდებოდა ამ ტურნირში პირველი ადგილის დაკავება. დებიუტებს ქალები თამაშობენ ოსტატურად, ბრძოლაში ავლენენ ღრმა, საყურადღებო იდეებს.

ნონამ პარტია ვოლპერტთან გეგმის მიხედვით გაითამაშა. ვოლპერტი და მისი ნწვრთნელი გაოცებულნი დარჩნენ ნონას სადებიუტო არჩევანით. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ვოლპერტმა დებიუტშივე დაკარგა ინიციატივა. გაფრინდაშვილმა მიღებული უპირატესობა მესამე გამარჯვებით დაადგვირგვინა. აი, ეს პარტიაც:

ლ. ვოლპერტი—ნ. გაფრინდაშვილი
ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. ♘f3 ♘f6 4. e3 e6 5. ♗:c4 c5 6. 0—0 a6 7. ♕e2 b5 8. ♗d3 cd 9. ♘:d4. e5! 10. ♘b3 c4 11. ♗c2 ♗d6 12. f3 ef 13. gf 0—0 14. ♘:3 ♗b7 15. ♘d4 g6 16. ♖g2 ♘gh8 17. ♗d2 ♕c7 18. ♘:e2 ♘bd7 19. c4 ♖ac8 20. ♖ac1 ♖c5 21. ♗d3 ♘c5 22. ♗b1 ♘c4 23. ♗h6 ♖g8 24. ♘g3 ♘h5 25. h3 ♘a3 26. ♗d3 ♗f4 27. ♗:f4 ♘:f4 28. ♕d2 ♕g5 29. ♖cd1 ♖d8 30. ♕b4 ♕e5 31. ♘ge2 ♘:d3 32. ♕:a3 ♖:d4 33. b4 ♕g5+ თეთრები დანებდნენ.

ნონა გაფრინდაშვილის ამ შესანიშნავმა შემოქმედებითმა მიღწევამ აალაპარაკა იუგოსლავიის გაზეთების კორესპონდენტები. ისინი უფრო ფართოდ აშუქებდნენ თბილისელი ქართველი გოგონას პირველ წარმატებებს.

ამ დღეს დამთავრდა კიდევ ერთი პარტია: შოდე დე სილანი ყაიმზე შეუთანხმდა ნიკოლაუს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ვახშმის შემდეგ მე და ნონა ვუსმენდით მუსიკას პორტატული რადიომიმღებით. ასეთი მიმღებები ტურნირის ორგანიზატორებმა ყველას დაგვირიგეს, რომ დასვენების დროს გავერთოთ.

ამ დღის კმაყოფილნი დავრჩით. მაგრამ ერთ წუთსაც არ გვავიწყდებოდა, რომ წინ კიდევ დიდი ბრძოლები გველოდა.

31 ოქტომბერი.

დღეს შედგა IV ტური. ნონა შეხვდა ზატულოვსკაიას. ესპანურ პარტიაში მხარეებმა სხვადასხვა

ფრთაზე გააკეთეს როქი და შეუდგნენ იერიშის მომზადებას. ზატულოვსკაიამ მცდარი გეგმა აირჩია. მან შეუტია მეფის ფრთას, რაც არ იყო სწორი. ნონამ ცენტრსა და ლაზიერის ფრთაზე აქტიური ოპერაციებით გარკვეული უპირატესობა მიიღო და პარტია მოსაგებ მდგომარეობაში გადადო.

ლეინმა დაამარცხა ჰეემსკერკი, პოლიქრონიადემ—ჰუნდსურენი. ყაიმით დასრულდა ბორისენკო—ვოლპერტის შეხვედრა. ეს ყაიმი ნონასათვის ხელსაყრელი იყო. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

1 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

საღამოს ნონამ დაამარცხა ზატულოვსკაია გადადებულ პარტიაში. ეს მისი მეოთხე გამარჯვებაა ზედიზედ.

კარაკაშნე და ჰუნდსურენი თამაშის განუახლებლად დანებდნენ ნედელკოვიჩს. ლაზარევიჩმა მოუგო გრესერს და ყაიმზე შეუთანხმდა შოდე დე სილანს. ბორისენკომ გაიმარჯვა ჰეემსკერკთან, კარაკაშნემ—პოლიქრონიადესა და გრესერთან, ზატულოვსკაიამ—ზვორიკინასთან. რინდერი დამარცხდა ნედელკოვიჩთან. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ასე გავიდა პირველი „სამუშაო“ კვირა. გაირკვნენ ლიდერები: ნონა გაფრინდაშვილი—4 ქულა 4-დან და მილუნკა ლაზარევიჩი—3,5 ქულა; ნედელკოვიჩსა და კარაკაშნეს—3-3 ქულა. ლიზა ლეინს

2,5 ქულა დაუგროვდა, რასაც შემდეგ ძალიან ცოტა მოემატა. მეტად მოკრძალებული შედეგი აქვთ ვოლპერტს (1,5 ქულა 4-დან), ზატულოვსკაიასა და ზვორიკინას (თითო ქულა თვითეულს).

2 ნოემბერი.

დასვენების პირველი დღეა. დილის 10 საათზე ავტობუსით გავემგზავრეთ ექსკურსიაზე ქალაქ კრალევოში და ჟიჩას მონასტერში. ქალაქი კრალევო რაიონული ცენტრია, რომელშიც ცხოვრობს დაახლოებით 25 ათასი კაცი. კრალევო იუგოსლავიის 1941 წლის აჯანყების ერთ-ერთი უდიდესი ცენტრი იყო. ფაშისტებმა აქ დახოცეს 5000 მოქალაქე, რაზეც მეტყველებს ძმათა სასაფლაოზე აგებული ძეგლი.

ჟიჩას მონასტერი ვრნიაჩკა-ბანიასგან 32 კილომეტრითაა დაშორებული. იგი აუშენებიათ შუა საუკუნეებში. მონასტერში ხდებოდა ნამნიჩის დინასტიის ბერების კორონაცია. აქ იყო სერბიის არქიეპისკოპოს საკვა ტახტი. მონასტერი მრავალჯერ დაუნგრევიათ დამპყრობთ.

ექსკურსანტებმა ინტერესით დავათვალიერეთ მონასტერი და სამახსოვროდ ფოტოსურათებიც გადავიღეთ.

ბოლოს მატარუშკო-ბანიას რესტორანში, რომელიც მონასტრის მეზობლადაა, გაიმართა ბანკეტი. სადილის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, მრავალმა მონაწილემ გვაჩვენა თა-

ვისი ნიჭი. საესტრადო ორკესტრის თანხლებით შეასრულეს რამდენიმე ცეკვა. შემსრულებლებად მოგვეევლინენ ვოლპერტი, ზვორიკინა, ნონა, ნედელკოვიჩი, ჰეემსკერკი და სხვები. ყველა მიირთმევდა იუგოსლავურ ღვინოს. ნონამ ღვინოს არჩია ლიმონის სასმელი.

საღამოს ყველა კმაყოფილი დაბრუნდა ვრნიაჩკაბანიაში.

3 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

ჩანს, პირველნა „სამუშაო“ კვირამ ოდნავ დაღალა ნონა. თავის მეგობარ ზვორიკინასთან პარტიაში იგი ვერ თამაშობდა ჩვეული ენერგიით. დებიუტში უხალისო თამაშს ინიციატივისა და პაიკის დაკარგვა მოჰყვა. ამან თითქოს გამოაფხიზლა ნონა, რომელმაც დაცვის მიზნით პარტია ეტლების დაბოლოებაში გადაიყვანა. როგორც ცნობილია, ეტლების დაბოლოებაში ბევრია საყაიმო „წყალქვეშა ქიმები“. ზვორიკინამ ინერციით განაგრძო თამაში და შეუჩნევლად დაკარგა უპირატესობა. პარტია გადაიდო ისეთ მდგომარეობაში, სადაც ნონა იბრუნებს პაიკს და მინიმალურ პოზიციურ უპირატესობას აღწევს.

კიდევ კარგი, რომ ნონას ხვალ დასვენების დღე აქვს. ცოტა „სულს“ მოითქვამს და ახალი ძალით განაგრძობს ძნელ ჭიდილს.

დღეს პირველად გაისმა ტელეფონის ზარის წკრიალი თბილისიდან. დარეკა საქართველოს

რადიოს სპორტულმა კომენტატორმა. რა სასიამოვნო იყო თანამემამულის ხმის გაგონება. ამ დღიდან ჩვენ ნებიდრო სატელეფონო კავშირი გვქონდა თბილისთან. თითქმის ყოველდღე ველაპარაკებოდი გაზეთების „კომუნისტის“, „ზარია ვოსტოკას“, „ლელოს“ რედაქციების მუშაკებს, რადგან ვიცოდი ჩვენი ამბავი საქართველოში ყველას აინტერესებდა.

დღევანდელ V ტურში ლაზარევიჩმა პირველი დამარცხება განიცადა. მას მოუგო ნიჭიერმა პოლონელმა მოჭადრაკემ ჰენრიკა კონარკოვსკამ. მომყავს ეს საინტერესო პარტია.

ჰ. კონარკოვსკა—მ. ლაზარევიჩი
სკანდინაური დაცვა

1. e4 d5 2. ed ლ:d5 3. მc3 ლa5 4. მf3 კg4 5. d4 მf6 6. h3 კ:f3 7. ლ:f3 e6 8. კe4 e6 9. 0—0 კe7 10. კh3 0—0 11. მe2 ლe7 12. მf4 კd6 13. e3 ეe8 14. კe2 მhd7 15. მh5 მ:h5 16. ლ:h5 g6 17. ლh4 ნh5 18. ეe1 e5 19. de კ:e5 20. კh3 კf8 21. ეe4 კg7 22. კg5 ლc6 23. ეe3 a5 24. a4 მd5 25. ეe2 ლh6 26. კc4 ეec8 27. კh5 f6 28. კd2 ეd8 29. ე:e1 e5 30. კc1 მc7 31. ლc4+მეf8 32. კe3 ლd6 33. ეd2 ლh8 34. ეed1 ე:d2 35. ე:d2 ლc8 36. კc5 შავები დანებდენ, რადგან კ:e7 და ეd7+ მუქარებისაგან დაცვა არ არის.

ნიკოლაუმ დაამარცხა ჰეემსკერკი. რთული ბრძოლის შემდეგ გადაიდო ბორისენკო—ზატულოვსკაიას პარტია პირველისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. სამი წაგების შემდეგ მონღოლმა ჰუნდსუ-

რენმა მოსაგებ პოზიციაში გადადო პარტია ამერიკელ გრესერთან. ჰუნდსურენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას პოზიციური თამაშის გასაოცარი ნიჭი აქვს. დებიუტებიც შესანიშნავად იცის. მონაწილენი ხუმრობდნენ: რად გვინდა დებიუტების მომზადება წიგნებით, საკმარისია გაეცნო ჰუნდსურენის პარტიებს და ყველაფერი გეცოდინებაო. ამიტომ მონღოლ ქალიშვილს ხუმრობით „დიდი თეორეტიკოსი“ შეარქვეს.

4 ნოემბერი.

დღეს ნონა თავისუფალი იყო და კარგადაც დაისვენა. ხანგრძლივი ანალიზით დავრწმუნდით, რომ ზვორიკინასთან გადადებულ პოზიციაში მოგების შესაძლებლობა არ არის. ამიტომ ნონა ზვორიკინას ყაიმზე შეუთანხმდა. ასე ჯობდა. დრო და ენერგია უნდა დაგვეზოგა.

საღამოს მე და ნონა მაყურებელთა შორის ვისხედით. ამ დღეს დამთავრდა ყველა პარტია. ზვორიკინამ პირველი დამარცხება აგემა ბორისენკოს. პარტია წააგო ვოლპერტმაც, რომელმაც საეჭვო მანევრები წამოიწყო ნიკოლაუსთან. გაიმარჯვა ლაზარევიჩმა ჰეემსკერკთან. დანარჩენი პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ჩვენს ძეზობლად იჯდა საერთაშორისო ოსტატი ჩირიჩი, რომელსაც იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციამ ლიზა ლეინის მწვრთნელობა დაავალა. მთელი საღამო ჩირიჩი სადემონსტრაციო და-

ფაზე გულმოდგინედ არჩევდა ნონასთან პარტიებს.

— გასაკვირია, რა სწრაფად და უშეცდომოდ გამოითვლის ხოლმე ნონა ვარიანტებს, — მითხრა შემდეგ გაოცებულმა ჩირიჩმა,—პოზიციასაც სწრაფად აფასებს. ასეთი მოჭადრაკე ძალიან შორს წავა. ჩემის აზრით, იგი თვით ვერა მენჩიკსაც კი არ ჩამოუვარდება.

ვ. ბორისენკო.

ნ ო ე მ ბ ე რ ი.

გუშინდელი გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ლიდერთა ბირთვი ასე გამოიყურება: გაფრინდაშვილი — 4,5 ქულა 5-დან, ლაზარევიჩი და კარაკაშნე — 4,5 ქულა თვითეულს 6-დან, ნიკოლაუ — 4 ქულა, ნედელკოვიჩი — 3,5 ქულა 5-დან, ბორისენკო — 3,5 ქულა 6-დან.

დღეს ნონას ელოდა მეტად სერიოზული შეხვედრა ბორისენკოსთან. ამ პარტიის შედეგზე ბევრი იყო დამოკიდებული. ბორისენკო საუცხოო თეორეტიკოსია. მას შემთხვევით არ შეარქვეს „ჭადრაკის აკადემიკოსი". ამიტომ მასთან თეორი-

ულ ვარიანტზე წასვლა ნიშნავს თვითონ გაყო თავი მარყუჟში. რაკი ვიცოდით, რომ ბორისენკოს უყვარს სიცილიური დაცვის თამაში, მოვძებნეთ ნაკლებად შესწავლილი გაგრძელება. ამ სისტემაში პარტიის ბედი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უკეთესად გაერკვევა შუა თამაშის გართულებებში. როცა დავსახეთ შესაძლებელი თამაშის გეგმები, ნონას ვთხოვე თამაშის დროს მეტი სიფხიზლე, დაკვირვება, სიდინჯე გამოეჩინა.

ეზივარ დარბაზის პირველ რიგში. აქვე არიან ი. ბონდარევსკი, ა. კონსტანტინოპოლსკი, ვ. მაკაგონოვი. ნონას ყოველ სვლაზე ვღელავ. რა არ მეჩვენება.

ბაგრამ საქმე კარგად მიდის. მე-15 სვლაზე ნონამ ისეთი თამაში გააჩაღა, რომ მთელი დარბაზი დაატყვევა. აი, სად გამომჟღავნდა მისი ხასიათი. ფიგურების მობილიზაციის დაუმთავრებლად ეკვეთა მეტოქეს. რა მოხდება? გაართმევს კი თავს ნონა ვარიანტებისა და შესაძლებლობათა „ჯუნგლებს“?

ნონამ ჩინებულად წარმართა ამაღელვებელი ბრძოლა და გაიმარჯვა. 3,5 ქულა 4-დან საბჭოთა მოჭადრაკეებთან—ბრწყინვალე შედეგია! გზა ერთპიროვნული ლიდერობისაკენ გახსნილია!

აი, პარტიაც ბორისენკოსთან:

ნ. გაფრინდაშვილი—ვ. ბორისენკო

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. ♘f3 ♘c6 3. ♗b5 d6 4. 0—0 ♗g4 5. ♕e1 ♗h6 6. ♗e2 ♘f6 7. d3 g6 8. ♘bd2 ♗e7 9. ♘c4 ♗:f3 10. ♗:f3 ♗g7 11. c3 ♘d7 12. ♗e2 0—0 13. f4 e6 14. ♘e3 f5 15. g4 f:e 16. de ♘b6 17. f5 ef 18. gf ♗e7 19. ♘d5 ♗:e4 20. ♘:h6 ah 21. ♗d3 ♗d5 22. ♗e2 ♘e5. 23. ♗e4 ♗f7 24. ♗g2 ♘gh8 25. fg ♘:g6 26. ♗g5 ♘e5 27. ♕f1 ♗h5 28. ♗e7 ♕:f1 29. ♕:f1 ♗h6 (თუ შავები აიყვანენ 29... ♕:a2, ♘:შინ 30. ♕f8+ ♗:f3 31. ♗f6+ შამათით) 30. ♘gh1 ♕:a2 31. ♗g5 ♕: b2 32. ♗:h2 ♗:g5 33. ♗:b6 ♗e7 34. ♗:h7 ♘g6 35. ♗d5 ♗:c3 36. ♗h8+ ♘g7 37. ♕f7+ ♗:f7 38. ♗:f7 ♘g:f7 39. ♗b3+ ♘g7 40. ♗:c3 შავები დანებდნენ, ამასთან, დროსაც გადააცილეს.

სხვა შეხვედრებში კონარკოვსკამ ყაიმით დაამთავრა პარტია ჰუნდსურენთან. პატარა შიში „ჟამა“ ნედელკოვიჩმა გრესერთან პარტიაში, რომელშიც მეტად მძიმე პოზიცია ჰქონდა. მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად გრესერმა მას ყაიმი შესთავაზა, ნედელკოვიჩი დიდი სიამოვნებით დათანხმდა. აი, ავტორიტეტების ზედმეტმა შიშმა რა იცის!

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

დარბაზიდან გამოსვლისთანავე ნონასთან მიიჭრნენ ავტოგრაფების მოყვარულები. საერთოდ აქ ბევრნი არიან გამოჩენილ პიროვნებათა ხელწერის შემგროვებელნი. ისინი მოურიდებლად უტევენ მათ ქუჩაში, რესტორანში, სასტუმროში, ყველგან,

სადაც კი მიუწვდებათ ხელი. ნონას სთხოვდნენ ქართულ და რუსულ ავტოგრაფებს.

7 ნოემბერი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღესასწაულია. საუზმის დროს საბჭოთა მოჭადრაკეები და მათი მწვრთნელები კითხულობენ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარის ნ. რომანოვის, მისი მოადგილის დ. პოსტნიკოვის და საბჭოთა კავშირის საჭადრაკო ფედერაციის მოსალოც დეპეშებს. ისინი გულითადად გვილოცავენ დიდ დღესასწაულს და გვისურვებენ ჯანმრთელობასა და წარმატებებს!

საღამოს გაიმართა VIII ტური. ვოლპერტმა დაამარცხა კარაკაშნე. გაფრინდაშვილისა და ლეინის პარტია ყაიმით დამთავრდა. კარგად ითამაშა რუბინეთის ჩემპიონმა ნიკოლაუმ, რომელმაც შემტევ სტილში დაამარცხა ზვორიკინა. ეს პარტია თავისი შინაარსით გამოქვეყნების ღირსია.

ა. ნიკოლაუ—კ. ზვორიკინა

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. d3 d6 3. d4 cd 4. d: d4 ld7 5. d3 e6 6. ke2 df6 7. 0—0 a6 8. dfh1 b5 9. a3 kb7 10. f4 d:d4 11. l:d4 kc5 12. ld3 d5 13. ed d:d5 14. d:d5 k:d5 15. ld3 la7 (მცდარი მანევრი, რომლის შემდეგ თეთრები მტკიცედ ეუფლებიან ინიციატივას) 16. f5 kd4 17. lg3 ef 18. c3 kf6 19. e:f5 ke6 20. kc3 lb8 21. e:f6! gf 22. lg7

ბფe7 23. კe5+ ბფd7 24. კf3 მფc7 25. ედ1 ედ8 26. ე:d8 ლ:d8 27. ლg3+ მფd7 28. ლd6+ მფe8 29. კc6+ კd7 30. ლf8×.

ლაზარევიჩმა ბოუგო ზატულოვსკაიას. მეორე იუგოსლაველმა მოჭადრაკემ გაანადგურა ფრანგი შოდე დე სილანი. ამის თაობაზე მეორე დღეს საჭადრაკო პრესაში განვლილი ტურის ანგარიში ასე იყო დასათაურებული: „ვერა ნედელკოვიჩის მინიატურა“.

აი, ეს მინიატურაც:

3. ნედელკოვიჩი—შ. შოდე დე ხილანი

ესპანური პარტია

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კb5 a6 4. კa4 მf6 5. 0—0 კe7 6. ედ1 b5 7. კb3 0—0 8. h3 d6 9. c3 მa5 10. კc2 c5 11. d4 ლc7 12. მbd2 cd 13. cd კb7 (მოწინააღმდეგეებმა დებიუტი გაითამაშეს თეორიის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით) 14. ბf1 ედd8 15. მg3 d5? 16. მ:e5 კd6 17. ed კ:d5 18. კg5 კ:e5 19. ე:e5 ლb6 20. მh5 კe6 21. მ:f6 +gf 22. კ:f6 ედc8 23. ეg5+ მფf8 24. კ:h7 მფe8 25. d5 შავები დანებდნენ.

ყაიმით დამთავრდა რინდერ—კარაკაშნესა და პოლიქრონიადე—გრესერის პარტიები. ბორისენკო ისვენებდა.

8 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღეს შედგა VII და VIII ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

VIII ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს „ახალგაზრდა შავთვალა თბილისელი ქართ-

ველი“, ასე წერდა ნონა გაფრინდაშვილის შესახებ ყოველკვირეული ილუსტრირებული გაზეთი „პოლიტიკა“. ნონას აქვს 6 ქულა 7-დან. ლიდერს კვალში მიჰყვება ლაზარევიჩი — 6 ქულა 8-დან. შემდეგ არიან ნედელკოვიჩი – 5 ქულა 7-დან, ნიკოლაუ, კარაკაშნე — 5 ქულა თვითეულს 8-დან. საბჭოთა მოჭადრაკეებს ვოლპერტს, ზვორიკინასა და ბორისენკოს მხოლოდ 3,5-3,5 ქულა აქვთ.

9 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღეს ტურნირზე დასვენებაა. მასპინძლებმა შემოგვთავაზეს ექსკურსია მახლობელ ლიუბოსტინას მონასტერში, რომელიც თხუთმეტიოდე კილომეტრითაა დაშორებული ვრნიაჩკა-ბანიას. ყველამ ერთხმად მიიღო წინადადება.

მალე ავტობუსი მიგვაქროლებდა ისტორიული მონასტრისაკენ. ლიუბოსტინას სავანე აუშენებია თავადის ქალ მილიცას 1389 წელს. მონასტერი ააგო იუგოსლავიის ცნობილმა ხუროთმოძღვარმა რადე ბოროვიჩმა, რომელსაც ხალხური ეპოსი იხსენიებს რადე ნეიმარად. მონასტერში განისვენებს მისი დამაარსებელი თავადის ქალი. ამჟამად ლიუბოსტინას მონასტერში ცხოვრობენ მონაზვნები, რომელთა თაფლი, ღვინო და ნაქარგი ხალიჩები ფართოდაა ცნობილი იუგოსლავიაში.

დათვალიერების შემდეგ მონაზვნები გაგვიმასპინძლდნენ ნაქები ღვინით და თაფლით. რასაკვირველია, ფოტოკორესპონდენტებმა ისარგებლეს

ხელსაყრელი მომენტით და გადაიღეს „მოქეიფე“ მოჭადრაკე ქალები.

სადილობისას უკვე ვრნიაჩკა-ბანიაში ვიყავით. საღამოს მიგვიწვიეს ამერიკული ფილმის საყურებლად, რომელიც ძალზე მოსაწყენი გამოდგა.

იმავე საღამოს ვთხოვე ტურნირის დირექტორს მ. პეტრონიჩს, გამოეთქვა თავისი შეხედულებანი განვლილი ბრძოლის შესახებ.

— მიმდინარე პრეტენდენტთა ტურნირის შემადგენლობა უფრო ძლიერია, ვიდრე რომელიმე წინა ტურნირისა, — თქვა მ. პეტრონიჩმა, — მე ვიყავი აგრეთვე ახლახან დამთავრებული ბლედის საერთაშორისო ტურნირის დირექტორი და შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ ჩვენს ტურნირზე უფრო ნაკლებია უხეში შეცდომების რაოდენობა, ვიდრე „საუკუნის“ ტურნირზე.

— ჩემის აზრით, — განაგრძო მ. პეტრონიჩმა, — პირველი ადგილის რეალური შანსები აქვს ნონას. მაგრამ მასთან ბრძოლაში მოსალოდნელია ნედელკოვიჩისა და ლაზარევიჩის ჩაბმა. აგრეთვე ნიჭიერი ნიკოლაუსა და რომელიმე საბჭოთა ოსტატისა, რომელიც შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას ტურნირის მეორე ნახევარში. რაც შეეხება ლეინს, იგი ჭადრაკის ნამდვილი ფანატიკოსია, ამასთან უაღრესად ნიჭიერი და მეტისმეტად გამოუცდელი. მას სჭირდება თავის თავზე დიდი მუშაობა.

მ. პეტრონიჩთან საუბარს ესწრებოდა რუბინელი ნიკოლაუ. რა მოგეწონათ-მეთქი ტურნირის პირველ ნახევარში, ვკითხე.

მან გაიღიმა და მიპასუხა:

— თქვენი ნიჭიერი მოწაფის კომბინაციური და მომხიბლავი თამაში.

10 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

საუზმის შემდეგ ნონა და ა. კონსტანტინოპოლსკი შეიკრიბნენ ჩემთან. ვსაუბრობთ მომავალი სამი შეხვედრის შესახებ. ნონას უწევს თამაში ნიკოლაუსთან, ლაზარევიჩსა და კარაკაშნესთან.

ტურნირის მეორე ნახევარში ნედელკოვიჩი და ლაზარევიჩი, რომლებიც ნონას მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებიან, ყველანაირად შეეცდებიან დაეწიონ ლიდერს.

ნონამ ლაზარევიჩთან ხვალინდელი პარტიისათვის მოამზადა სიცილიური დაცვის სქემა ბერდის დებიუტის წინააღმდეგ, რომელსაც რეგულარულად იყენებს ხოლმე ლაზარევიჩი. კარაკაშნესთან ნონას თეთრებით უწევს თამაში. თანაც უნგრელ მოჭადრაკეს არ უყვარს აგრესიული ბრძოლა. ამიტომ მასთან თამაში არ წარმოადგენს დიდ საშიშროებას.

მთავარი ისაა, რომ ნონამ არც ერთი პარტია არ უნდა წააგოს. მაშინ მომავალი წარმატების საფუძველი ჩაყრილი იქნება.

საღამოს ჩვენ კვლავ ერთად ვართ. ნონა სცენა-

ზეა, ხოლო ი. ბონდარევსკი, ა. კონსტანტინოპოლსკი და მე—მაყურებელთა შორის. პარტია ნიმდინარეობს ნონას უპირატესობით. იგი გაბედულად სწირავს ცენტრალურ პაიკს. ყოველი სვლით ნიკოლაუს პოზიცია უარესდება. რუმინელი სულ უფრო მეტს ფიქრობს თვითეულ სვლაზე. ამ დროს ნონა დინჯად დასეირნობს სცენაზე.

ტური ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, რომ ნიკოლაუმ წააგო პარტია.

ა. ნიკოლაუ

ნ. გაფრინდაშვილი—ა. ნიკოლაუ

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 მc6 3. კb5 ლb6 4. a4 e6 5. 0—0 კe7 6. მa3 მf6 7. d3 0—0 8. კ:c6 ლ:c6 9. მc5 ლc7 10. კf4d6. 11. მb5 ლd8 12. მc4 მe8 13. ლe2 d5 14. მc3 a6 15. მa3 კf6 16. c3 e5 17. კg3 d4 18. მcc4 ლe7 19. მb6 ეb8 20 მd5 ლc6 21. cd cd 22. f4 b5 23. ab ab 24. მc2 მd6 25. ლh5 ef 26 მ:f6+ gf 27. ე:f4 ლe5 28. ეg4+ კ:g4 29. ლ:g4+ ლg5 30. ლ:g5 fg 31. კ:d6 შავები დანებდნენ.

ბრწყინვალე პარტიაა!

ნედელკოვიჩმა საყაიმო პოზიციაში გადადო პარ-
ტია კონარკოვსკასთან. ლაზარევიჩის ავადმყოფო-
ბის გამო მისი პარტია ზვორიკინასთან არ შედგა.

11 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დილას, საუზმის დროს, ვეკითხები ტურნირის
ნთავარ ბსაჯს ზ. სტაპჩევს: ითამაშებს თუ არა სა-
ღამოს ლაზარევიჩი. იგი ხომ ავადაა. 11 საათზე
შეგვატყობინეს, რომ ითამაშებს. იგი თავს უკეთე-
სად გრძნობს.

ვემზადებით პარტიისათვის. შემდეგ მივდივართ
მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ. სადილის შემ-
დეგ კი მცირე გასეირნება არ იქნება ურიგო.

ნონას და ლაზარევიჩის პარტია ყველას აინტე-
რესებს. ყველა გრძნობს, რომ ამ შეხვედრაში
გაირკვევა პირველი ადგილის პრეტენდენტი. ამი-
ტომ დარბაზი გაჭედილია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლაზარევიჩმა პარ-
ტია დაიწყო ბერდის დებიუტით. ლაზარევიჩის
ბეოთხე სვლაზე პარტიამ მიიღო სიცილიური დაც-
ვის დახურული სისტემის სახე. ახლა ნონას შეუძ-
ლია პოზიციური უპირატესობის მოპოვება, მაგრამ
არასწორად თამაშობს და ინიციატივას ეუფლება
ლაზარევიჩი. დაფაზე შეიქმნა მეტად რთული მდგო-
მარეობა.

ნონა მიდის რისკიან გაგრძელებაზე. სწირავს
პაიკს. ლაზარევიჩმა მიიღო იგი. მაშინ გაფრინდა-
შვილის წინაშე წამოიჭრა დილემა: გადავიდეს

ენდ'შპილ'ში უბაიკოდ, ან 'მესწიროს სარისხი იერი-შისათვის. ნონამ მეორე გზა აირჩია. ლაზარევიჩმა აიყვანა ეტლი კუს სანაცვლოდ. 'ბაგრამ ინიციატივა ნონას დარჩა.

დაფაზე ასეთი მდგომარეობა შეიქმნა:



რომელიც, ჩემის აზრით, ყველაზე კრიტიკული იყო ნონასათვის მთელ ტურნირში. როგორ განაგრძოს თამაში? ლაზარევიჩის მუქარები მეტად სახიფათოა.

ნონა თითქმის 20 წუთს ფიქრობდა.

— მიხეილ ვასილის ძევ,—მომმართა ი. ბონდარევსკიმ,—გავიდეთ ბუფეტში. თითო ჭიქა ყავა შევსვათ.

ჩანს, მასაც ღალატობდა ნერვები. მხოლოდ უშფოთველი ა. კონსტანტინოპოლსკი აუღელვებლად შესცქეროდა სადემონსტრაციო დაფას.

მე ადგილს ვერ ვპოულობდი. ყოველ წუთს მივრბოდი დარბაზში ამბის გასაგებად.

— იცით, ახლა ნონას მხოლოდ ერთადერთი სვლა აქვს,—მომიბრუნდა ი. ბონდარევსკი,—მეფით სვლა, თუ იგი მონახა, მაშინ უნდა მივანიჭოთ ოსტატობის კანდიდატობა ვაჟებს შორის.

მომეწონა ეს ხუმრობა, მაგრამ გონებით ნონას პარტიასთან ვიყავი. მართლა რომ მონახოს? და აი, ნონამ გააკეთა მეფით სვლა 27... მფg7.

— ყოჩაღ, ნონა!—თქვა ბ. ბონდარევსკიმ და განაგრძო,—საჭიროა კიდევ ერთი სვლა მეფით. მაშინ ოსტატის წოდებას მივანიჭებ ვაჟებისას.

გროსმაისტერს ჯერ ლაპარაკიც არ ჰქონდა დამთავრებული, რომ 28. ლ:a7+ შემდეგ ნონამ გააკეთა 28... მფh6.

ლაზარევიჩმა მცირე მოფიქრების შემდეგ ითამაშა 29. ლa3. ნონას წინაშე კვლავ რთული ამო-

ცანა წამოიჭრა. როგორ განაგრძოს პარტია. და „პატარა“ ნონამ იშვიათი ძალის სვლა მონახა 29... მფh5!

— მივანიჭოთ გროსმაისტერობა,—გაისმა დარბაზის მეორე მხრიდან საერთაშორისო ოსტატ სილადის „დამტვრეული“ რუსული.

მალე ლაზარევიჩმა დაყარა ფარ-ხმალი. მაყურებლებმა ნონა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს.

პარტია ნამდვილად შესანიშნავად გაითამაშა ნონამ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფინალური თამაში, რომელშიც თვით მეფეები ეკვეთნენ ერთმანეთს.

— ეს პარტია შემოივლის მსოფლიოს საჭადრაკო პრესას,—იყო საერთო დასკვნა.

მ. ლაზარევიჩი—ნ. გაფრინდაშვილი

ბერდის დებიუტი

1. f4 c5 2. მf3 g6 3. e3 კg7 4. d3 e6 5. კe2 მe7 6. 0—0 მc6 7. e4 d6 8. c3 0—0 9. კe3 ეh8 10. d4 f5 11. e5 cd 12. cd მd5 13. კc1 კh6 14. g3 de 15. de h5 16. მc3 ლb6+ 17. მფg2 ეfd8? (საჭირო იყო 17... მ:c3) 18. მ:d5 ე:d5 19. ლh3 კf8 20. კe3 კc5 21. კ:c5 ლ:c5 22. ეfd1 მe7 23. ეac1 ლb6 24. ე:d5 მ:d5 25. ლ:b5 ლe3! 26. ლ:b8 ლ:e2+ 27. მფh3 მფg7 (თუ 27.... ლ:f3, მაშინ 28. ე:e8+ მფg7 29. ეg8+ მფh6 30. ე:g6+! მოგებით) 28. ლ:a7+ მფh6 29. ლa3 მფh5 30. ეe1 (უფრო ძლიერი იყო 30. ეg1. მაგრამ ი. ბონდარევსკიმ და ა. კონსტანტინოპოლსკიმ თქვეს, რომ 30... g5! შემდეგ ნონას პარტია არ უნდა ჰქონდეს უარესი. ეს პოზიცია

და საერთოდ მთელი პარტია საკიროებს გულდასმით და ხანგრძლივ ანალიზს) 30... ლf2 31. ლd3 კh6! 32. ლd1 მe3 33. ე:e3 კf1+ თეთრები დანებდნენ.

ვერიცა ნედელკოვიჩს ნამდვილად შეეძლო მეტის მიღწევა. პრეტენდენტთა 1958 წლის ტურნირზე მან მეორე ადგილი დაიკავა. ამიტომ მისგან სამართლიანად მოელოდნენ მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტობას. მით უმეტეს, რომ მისი მეუღლე სრეჩკო ნედელკოვიჩი—საერთაშორისო ოსტატი და იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი — საუცხოო მასწავლებლად და მრჩევლადაა აღიარებული. მაგრამ ტურნირის დაწყების წინ სრეჩკო, როგორც ექიმი, მივლინებულ იქნა ექვსი თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ვერიცას კი მისთვის უცხო მწვრთნელები მიუჩინეს. ცხადია, მეუღლეს, მეგობარსა და მწვრთნელს მოკლებული იუგოსლავიის ჩემპიონი ვერ თამაშობდა მთელი ძალით.

თბილისიდან იმ საღამოს რამდენიმეჯერ დარეკეს. იქაც დიდი ამბავი ყოფილა. მოყვარულებს თითქმის შუაღამემდე უცდიათ შედეგისათვის. გაზეთმა „ლელომ“ პარტია მაკარნახებინა.

12 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღეს გადადებული პარტიების დამთავრება იყო. მაგრამ არსებითად პარტიების უმრავლესობა გაუთამაშებლად დასრულდა. ჰუნდსურენი დანებდა ვოლპერტს, ზატულოვსკაია—კარაკაშნეს, ლეინი—

ბორისენკოს. კონარკოვსკა—ნედელკოვიჩის პარ ტიაში მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თამაშის შემდეგ ყველა მიგვიწვიეს მოდების გამოფენაზე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ფაბრიკების ქსოვილები. მოდების დემონსტრაცია ხდებოდა საესტრადო ორკესტრის, მომღერლებისა და კონფერანსიეს თანხლებით. ახალი ტანსაცმელი ყველას მოეწონა.

კვლავ დარეკეს თბილისიდან. ნონას ამბით დაინტერესებული ყოფილა ყველა—ჭადრაკის მოტრფიალე და არამოჭადრაკეც, ერთ-ერთს დაურეკია „ლელოს“ რედაქციაში და უკითხავს:

— მიპასუხეთ, რა ქნა ნონამ.

— კვლავ მოიგო.

– გეთაყვა, მითხარით, როგორი ანგარიშით?

– როგორ? გაიმეორეთ?!

ნონას გულშემატკივარი შეცბა და უმალვე დაკიდა ყურმილი.

13 ნოემბერი.

X ტურისა და გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ შეიძლება გადავხედოთ სატურნირო ცხრილს, რომელიც გარკვეულ პასუხს იძლევა მონაწილეთა მდგომარეობის შესახებ.

ნონას 8 ქულა აქვს 9-დან ტურნირის უძლიერეს მონაწილეთა წინააღმდეგ. მას დარჩა სათამაშო კიდევ შვიდი პარტია, რომელთაგან განსაკუთრებით საპასუხისმგებლოა პარტიები კარაკაშნესთან,

ნედელკოვიჩსა და პოლიქრონიადესთან. ახლა საჭიროა თანაბრად ჩაატაროს ფინალური შეხვედრები და ყველაფერი რიგზე იქნება.

მეორე ადგილზე მყოფ კარაკაშნეს 7 ქულა აქვს 10-დან. ნედელკოვიჩს 6,5 ქულა 9-დან. მაგრამ დღეს იგი დაიწყებს შეხვედრებს საბჭოთა მოჭადრაკეებთან. ლაზარევიჩი უკვე ჩამორჩა. მას 6 ქულა აქვს 9-დან და ერთი წასაგებ პოზიციაში გადადებული პარტია, ვოლპერტს—6 ქულა 10-დან, ბორისენკოს—5,5 ქულა 9-დან.

ბორისენკო საბრძოლო განწყობილებაზეა. დასვენების შემდეგ მან მოუგო ნიკოლაუს. დღეს კი ხვდება ლაზარევიჩს, რომელიც მორალურად გატეხილია ორი დამარცხების შემდეგ. ამ მხრივ ბორისენკო კარგ მდგომარეობაშია. იგი სატურნირო ცხრილში ჰკეტავს საბჭოთა მოჭადრაკეების რიგს. და ბოლოს ხვდება დაღლილ უცხოელ მეტოქეებს.

დღეს XI ტურში გაფრინდაშვილმა კარაკაშნესთან პარტიაში ორჯერ გაუშვა ხელიდან უპირატესობის მიღების შესაძლებლობა და პარტია ყაიმით დამთავრდა. აქ თავი იჩინა დაღლილობამ.

ჰეემსკერკმა მოუგო პოლიქრონიადეს, ბორისენკომ—ლაზარევიჩს, ლეინმა—ნიკოლაუს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ვოლპერტ-ნედელკოვიჩის პარტიაში თანაბარი მდგომარეობაა, მოგების შანსები აქვთ ზატულოვსკაიას—რინდერთან,

ზვორიკინას — ჰუნდსურენთან და გრესერს — კონარკოვსკასთან.

14 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღევანდელ XII ტურში ბევრი „გვაწვალა" ნონას პარტიამ ჰუნდსურენთან. დებიუტიდან ნონამ უარესი თამაში მიიღო. უნდა ვაღიარო, ვერ ვხედავდი რა გზით შეეძლო ნონას აქტიურ შეტევაზე გადასვლა. მაგრამ მას „უშველა" თვითონ მონღოლმა მოჭადრაკემ, რომელიც ამ მხრივ არავის „აწყენინებდა" ხოლმე. არც ეს პარტია ყოფილა გამონაკლისი. ნონამ თამაში გაამარტივა, ეტლით დაიკავა ერთადერთი გახსნილი ვერტიკალი და უპირატესობა მოიპოვა. პარტია გადაიდო ნონასათვის მოსაგებ მდგომარეობაში.

ამ საღამოს დანარჩენმა საბჭოთა მოჭადრაკეებმაც ისახელეს თავი. ბორისენკომ მოუგო კარაკაშნეს, ზვორიკინამ — რინდერს, ზატულოვსკაიამ — ნედელკოვიჩს, ვოლპერტმა — პოლიქრონიადეს. ეს იყო მოსავლიანი დღე ჩვენი მოჭადრაკეებისათვის — 5:0!

მეორე დღეს გამართულმა გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგი მოიტანა: გაფრინდაშვილმა მოუგო ჰუნდსურენს, ზვორიკინამ — ლაზარევიჩსა და ჰუნდსურენს, გრესერმა — კონარკოვსკას, ზატულოვსკაიამ — რინდერს. დაზავდნენ ვოლპერტი და ნედელკოვიჩი.

მომყავს ამ ტურის ერთ-ერთი დაძაბული პარტია.

ე. კარაკაშნე—ვ ბორისენკო

ოთხი მხედრის დებიუტი

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 კb4 4. მd5 კa5 5. c3 მf6 6. ლc2 0—0 7. კc4 მ:d5 8. კ:d5 მe7 9. კb3 d6 10. h3 მg6 11. d4 მh4 12. მ:h4 ლ:h4 13. 0—0 მფh8 14. f4 კb6 15. fe de 16. კe3 კ:b3 17. ე:f7 ე:f7 18. კ:f7 ეf8 19. ეf1 კd7 20. კc4 ე:f1+ 21. კ:f1 კc6 22. კf2 კ:e4 23. ლc2 ლf4 24. ლh5 g6 25. ლ:e5+ლ:e5 26. de კ:f2+ 27. მფ:f2 მფg7 28. მფe3 კd5 29. a3 მფf7 30. c4 კc6 31. g3 მფe6 32. მფd4 h5 33. კb3+მფe7 34. მფe3 g5 35. კf5 b6 36. კg6 კe8 37. კf5 c5 38. b4 კf7 39. bc bc 40. მფd3 კe8 41. მფe3 კf7 42 მფd3 h4 43. hg hg 44. მფe3 კc6 45 კe4 h3 46. მფb3 h2 47. მფa4 კ:e4 48. მფa5 მفc6 49. a4 კd5 თეთრები დანებდნენ.

XII ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: გაფრინდაშვილი—9,5 ქულა 11-დან, ბორისენკო—7,5 11-დან, ვოლპერტი და კარაკაშნე—7,5 ქულა 12-დან, ნედელკოვიჩს—7 ქულა 11-დან, ზვორიკინას—6,5 ქულა 11-დან.

იუგოსლავური სპორტული გაზეთის „სპორტის“ კორესპონდენტმა სეტყვასავით დააყარა შეკითხვები ნონას: საიდან ხართ, ვინ გასწავლათ ჭადრაკის თამაში, როგორ ეზზადებოდით ტურნირისათვის. დაბოლოს ნაადრევიც — როგორ აპირებთ ე. ბიკოვასთან თამაშს? რასაკვირველია, ყველა შეკითხვაზე უპასუხა, გარდა უკანასკნელისა. წინ კიდევ ხუთი ტურია, ხუთი მნიშვნელოვანი პარტია. ბიკოვასთან მატჩზე ფიქრი ჯერ ადრეა.

გაზეთ „პოლიტიკას“ ყოველკვირეული ილუსტრირებული დამატება 14 ნოემბრის ნომერში წერდა: „ტურნირის დასაწყისში ახალგაზრდა თბილისელი სტუდენტის ნონა გაფრინდაშვილის შესახებ ცოტა რამ ვიცოდით. თამაშის შინაარსით, კომბინაციებით და სიმწვავით იგი გვაგონებს მიხეილ ტალს. უნდა თუ არა მას შეხვდეს „ქალთა ბოტვინიკს,“—ელ'ისაბედ ბიკოვას, რომელიც მოსკოვში ელოდება ვრნიაჩკა-ბანიაში გამარჯვებულს? მოსკოვში ახალგაზრდა ქართველს ალბათ არ გაუჭირდება თამაში, რადგან მას გასამხნევებლად შეიძლება ჩაჰყვეს და მხარში ამოუდგეს ხუთივე ძმა!“

16 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღეს მონაწილენი ისვენებდნენ. ტურნირის ორგანიზატორებმა ავტობუსით წაგვიყვანეს გოჩის მთაზე, რომელიც ზღვის დონიდან 1147 მეტრის სიმაღლეზეა. ნიკოლაუ ცუდად გახდა. სამაგიეროდ კმაყოფილი იყვნენ ჰუნდსურენი და მისი მწვრთნელი ნამჟილი. მათ თურმე ეს ბუნება მშობლიურ მონღოლეთს აგონებდა.

მთაზე დიდი თოვლი სცოდნია. მეთხილამურეებისათვის აქ კარგი სასტუმრო აუგიათ. ტყის პატარა ქოხში მიგვიწვიეს ლუდზე, ყავასა და ღვეზელზე. იქვე დაგვიმეგობრდა პატარა ძაღლი, რომელთანაც თითქმის ყველამ გადაიღო სამახსოვრო სურათი.

17 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

მორიგ XIII ტურში ნონამ კვლავ გაიმარჯვა. გერმანელ რინდერთან მან აირჩია ესპანური პარტია. მალე პაიკიც მოიგო და ბრძოლა ხელსაყრელ დაბოლოებაში გადაიყვანა. შემდგომ თამაშში რინდერმა კიდევ ერთი პაიკი დაკარგა და მალე პარტიაც წააგო.

ბორისენკომ სძლია ჰუნდსურენს. ეს მისი მეხუთე გამარჯვებაა ზედიზედ. კარაკაშნეს ავადმყოფობის გამო მისი პარტია ლეინთან არ შედგა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. მოსაგებ მდგომარეობაში გადადეს პარტიები ვოლპერტმა და ნიკოლაუმ გრესერსა და ლაზარევიჩთან. თანაბარ მდგომარეობაშია შეწყვეტილი ზვორიკინა—ნედელკოვიჩის შეხვედრა. ზატულოვსკაიას უპირატესობა აქვს პოლიქრონიადესთან.

დაიწყო ფინიშის ციებ-ცხელება. ახლა ყოველ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტურნირში გამარჯვებისათვის.

18 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

ნონას კიდევ ერთი გამოცდა ჰქონდა დღეს. იგი შავებით ეთამაშებოდა ვერა ნედელკოვიჩს. მართალია, იუგოსლავიის ჩემპიონი მას 3 ქულით ჩამორჩება, მაგრამ ბრძოლა სწარმოებს არა მარტო პირველი, არამედ მეორე და მესამე საპრიზო ადგილებისათვის.

ჩვენ ესპანურ პარტიაში მოვამზადეთ ჩიგორინის დაცვის ის ვარიანტი, რომელიც გათამაშდა

თბილისში, XXVI ჩემპიონატზე ტალ-პეტროსიანის პარტიაში.

როცა ვარჯიშს მოვრჩით, გავედით „ჩვენს“ სპორტულ მოედანზე, რათა შევჯიბრებოდით ვრნიაჩკა-ბანიაში ჩამოსულ გროსმაისტერ სვეტოზარ გლიგორიჩს. ის იყო ვიწყებდით „წვრთნას“, რომ გამოჩნდა იუგოსლავიის ცნობილი მოჭადრაკეც. მას ჩამოსვლისთანავე გაეგო, რომ საცურაო აუზის მოედანზე მიმდინარეობს მძაფრი შეხვედრები „პატარა ჩოგბურთში“, სადაც განსაკუთრებით გამოირჩევა თბილისელი გოგონა. იგი მოვიდა, რათა ნონას ჩოგბურთში შერკინებოდა.

ვ. ნედელკოვიჩი.

ნონამ და ზვორიკინამ უმოწყალოდ გაგვანადგურეს მე და ა. კონსტანტინოპოლსკი. ჩვენ შეგვცვალეს გლიგორიჩმა და ზატულოვსკაიამ. მაგრამ არც მათ დაადგათ კარგი დღე. გროსმაისტერის პატივსაცემად დავარღვიეთ შეჯიბრების „წესი“ და მივეცით მას საშუალება აეღო რევანში. ამჯერად გლიგორიჩმა გაიხადა პიჯაკი და ბრძოლა

„სპორტულ“ ფორმაში დაიწყო. მისი დიდი მონდომების და ზატულოვსკაიას თავდადებული ბრძოლის მიუხედავად ისინი მაინც დამარცხდნენ. მოღიმარმა გლიგორიჩმა ხელი ჩამოართვა გამარჯვებულებს და მადლობა გადაიხადა „ჩემპიონებთან“ თამაშისათვის.

სადილზე დობრიცამ ნონას ჩვეულებისამებრ ჰკითხა: როგორ დამთავრდა გუშინდელი ტური.

— აა, მოიგეთ. კეთილი. სადილად რა მოგართვათ?

ნონას გაეღიმა, რაც ნიშნავდა — „პაბრიკუ მომიტანეთ“. დობრიცა მიუხვდა.

— დღეს, სამწუხაროდ, პაბრიკუ არ გვაქვს, — თქვა მან ისეთი კილოთი, რომ ჩვენ ვიფიქრეთ, კეთილ მოხუცს ალბათ ნამდვილად ჰგონია, ნონა პაბრიკუს წყალობით იმარჯვებს, — მოგართმევთ პარიზულ შნიცელს.

თამაშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ნონა გავიდა სასეირნოდ. გარეთ გვიანი შემოდგომის ამინდი იდგა. ჩამოცვენილ ფოთლებს დაეფარა პარკის გასასვლელები. ნელი ქარი არხევდა გაშიშვლებულ ხეებს. ნონამ ვერ ნახა თავისი მწვანე სკამი, რომელზეც ჩვეულებრივ ისვენებდა პარტიის წინ. ვიღაცამ იხუმრა: ალბათ რომელიმე დაინტერესებულმა მონაწილემ და მისმა მწვრთნელმა სადღაც გადამალეს იგი, რადგან სკამი „ჯადოს-

ნური“ ეგონათო. პარტიის წინ ამ სკამზე დასვენებით ძალას იკრებდა და იმარჯვებდა ნონა.

რა ექნა ნონას. იგი გადავიდა ხიდზე და სხვა. ყვითელ სკამზე დაისვენა.

შემდეგ ნონა ხუმრობდა. შევამჩნიე, როცა მწვანე სკამზე ვისვენებდი, პარტიას ვიგებდი, როცა ყვითელზე—ყაიმით ვამთავრებდიო. მთავარი, რასაკვირველია, იყო ის, რომ ტურის წინ იგი კარგად ისვენებდა (ნებისმიერი ფერის სკამზე!), სუფთა ჰაერზე დამშვიდებით ფიქრობდა მომავალ ბრძოლაზე და თამაშზე მიდიოდა მომზადებული, შეუპოვარი...

ნედელკოვიჩთან პარტია განვითარდა დასახული გეგმის მიხედვით. მაგრამ მე-16 სვლაზე ნონამ პატარა შეცდომა დაუშვა და ნედელკოვიჩმა საჭირო ტემპი მოიგო. ნონას მეფეს საფრთხე ემუქრება, მაგრამ ნონამ დროულად მიიღო ზომები და ყველა მუქარა უვნებელყოფილი იქნა. შემდეგ ნონამ ჩინებულად ითამაშა და პარტიის გადადების მომენტისათვის ოდნავ უკეთესი პოზიციაც მიიღო.

შეწყვეტილ პოზიციას ბევრი დრო და ენერგია დავახარჯეთ. თითქოს კიდეც ვიპოვეთ მოგების შანსები. მაგრამ თამაშის განახლებისას ნედელკოვიჩმა ერთადერთი სვლით გააქარწყლა ჩვენი იმედები. პარტია ყაიმით დამთავრდა.

ამ დღეს ბორისენკომ რინდერთან გამარჯვებით მეექვსე პარტია მოიგო ზედიზედ. შესანიშნავი შედეგია საერთაშორისო ტურნირების პრაქტიკაში! ნონასა და მას შორის ინტერვალი 1,5 ქულამდე შემცირდა.

დანარჩენ პარტიებში ნიკოლაუმ მოუგო კარაკაშნეს, ზატულოვსკაიამ—გრესერს, შოდე დე სილანმა—ვოლპერტს. ამ უკანასკნელ პარტიასთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გიამბოთ:

მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ რომ მივდიოდით, გზაში შოდე დე სილანი და კონდრატიევი შეგვხვდნენ. მომხიბვლელმა ფრანგმა ქალმა ცნობისმოყვარეობით გვკითხა:

— თუ საიდუმლო არ არის, საით მიდიხართ?

— გეტყვით. ახლა შეიძლება ნონას გამარჯვებათა „საიდუმლოების“ გამომჟღავნება. ტურნირი თითქმის დამთავრდა, — ვუპასუხე ხუმრობით.— ჩვენ მივდივართ მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ.

— ამ შემთხვევაში მეც მინდა ვისარგებლო ამ „საიდუმლოების“ ძალით,—განაცხადა შოდე დე სილანმა და შემოგვიერთდა.

მაგიდის ჩოგბურთის „დახმარებით“ შოდე დე სილანმა დაამარცხა ვოლპერტი, რომელიც ფინიშზე ისედაც წარუმატებლად თამაშობდა.

ლეინთან ჰუნდსურენს თავიდან დიდი უპირატესობა ჰქონდა. იყო მომენტი, როცა მას შეეძლო ეტლის მანევრით პარტიის დამთავრება თავის სასარგებლოდ. მაგრამ მონღოლმა მოჭადრაკემ, როგორც არა ერთხელ წინა შეხვედრებში, გააკეთა რამდენიმე სუსტი სვლა, დაკარგა უპირატესობა და წასაგები პოზიციაც კი მიიღო. მართალია, პარტია გადადო, მაგრამ შემდეგ იგი დათმო თამაშის განუახლებლად.

ყაიმით დამთავრდა პოლიქრონიადე — ზვორიკინასა და კონარკოვსკა—ჰეემსკერკის პარტიები.

20 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

დღეს შედგა XV ტური, რომელმაც არსებითად გამოარკვია ტურნირში გაბარჯვებული.

შოტლანდიურ პარტიაში პოლიქრონიადესთან ნონამ შესწირა პაიკი, ფიგურების უკეთესი განლაგება მიიღო და რუბინელის ბეფეს როკი დააკარგვინა. მაგრამ ხშირად ბოჭადრაკეები კარგ პოზიციაში ვერ პოულობენ კარგი თამაშის გეგმას. ასევე დაემართა ნონას. მან ვერ მონახა პოზიციური უპირატესობის გამოყენების გზა და ნელ-ნელა დაკარგა უპირატესობა.

დაძაბულ მომენტში, როცა პოლიქრონიადე ფიქრობდა თავის მორიგ სვლაზე, ნონა გაქრა დარბაზიდან. პოლიქრონიადემ გააკეთა სვლა, მაგრამ ნონა მაინც არ ჩანდა. შეშფოთებული გავედი ფოიეში და რას ვხედავ. ჭადრაკის მოყვარულებს რკალ-

ში მრ.ექციათ ნონა და ავტოგრაფს სთხოვდნენ. რა-საკვირველია, ჩავერიე ამ „უმსგავსოებაში“, გულშემატკივრებს დავუყვავე და ასე ვიხსენი ნონა.

შემდეგ პოლიქრონიადემ რამდენადმე შეასუსტა ყურადღება და ნონამ გამანადგურებელი იერიში განავითარა. პარტიის ფინალი ნონამ ეფექტურად ჩაატარა.

ნედელკოვიჩმა შეაჩერა ბორისენკოს ტრიუმფალური წინსვლა, პარტია ყაიმით დაამთავრა მიუხედავად იმისა, რომ შავებით თამაშობდა. ამას ხაზს იმიტომ ვუსვამ, რომ ბორისენკო თეთრებით უფრო ძლიერია, ვიდრე შავებით. ეს აიხსნება სადებიუტო თეორიის საუცხოო ცოდნით.

ე. პოლიქრონიადე

რინდერმა მოუგო ლეინს, ნიკოლაუმ — ჰუნდსურენს და ლაზარევიჩმა—კარაკაშნეს. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

XV ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში მდგომარეობა ასეთია: გაფრინდაშვილს 12 ქულა აქვს 14-დან, ბორისენკოს—10 ქულა 14-დან, ვოლპერტს

– 9 ქულა 15-დან, ნედელკოვიჩს, ზატულოვსკაიასა და ზვორიკინას — 8,5 ქულა თვითეულს 14-დან.

ამრიგად, ტურნირის მეორე ნახევარში საბჭოთა მოჭადრაკეებმა დაიწყეს უცხოელი მონაწილეების „შევიწროება“, რითაც თვალნათლივ დაამტკიცეს საბჭოთა საჭადრაკო სკოლის უპირატესობა.

ამ საღამოს ბორისენკომ მომილოცა ნონას დიდი წარმატება. როგორც ჩანს, იგი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პირველი ადგილი მისთვის უკვე ძიუღწეველი იყო.

ჩემი მხრით მივულოცე ბორისენკოს მეორე ადგილი და ვაჟკაცური თამაში ფინიშზე. მან ტიტანური ნახტომი გააკეთა ნონას დასაწევად (მოიგო ექვსი პარტია ზედიზედ), მაგრამ ნონას გამარჯვებას ტურნირის პირველ ნახევარში ისეთი საძირკველი ჰქონდა ჩაყრილი, რომ იგი მიუწვდომელი აღმოჩნდა!

21 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

ეს დღე ნონასათვის იყო ყველაზე „მძიმე“ და ყველაზე ბედნიერი. უკვე მე-15 სვლაზე ბორისენკო—პოლიქრონიადეს პარტიაში ყაიმი იქნა ფიქსირებული. გრესერთან ბრძოლით გართულმა ნონამ არ იცოდა, რომ პირველი ადგილის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ეს ამბავი მას უთხრეს

ტურნირის მონაწილეებმა, როცა გამარჯვება მიუ-ღოცეს.

პარტიის შემდეგ ი. ბონდარევსკისთან, ა. კონ-სტანტინოპოლსკისთან და ვ. ჩაკაგონოვთან ერ-თად გავემართეთ ბუფეტში ქართველი მოჭადრა-კის დიდი გამარჯვების აღსანიშნავად. რამდენიმე ხანში ჩვენი თავყრილობა გაიზარდა. უცხოელი მოჭადრაკეების მწვრთნელებს, ჩსაჯთა კოლეგიის წევრებს, ჟურნალისტებს, რომლებიც კი გამოჩნ-დებოდნენ ბუფეტში, ვიწვევდით სუფრასთან. ბევ-რი თბილი სიტყვა ითქვა ნონას მისამართით მისი ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ამ საღამოს ნო-ნა „დაატყვევეს“ კორესპონდენტებმა, რომელთა შეკითხვებს ბოლო არ უჩანდა.

ამ კორესპონდენტთა შორის იყო გროსმაისტე-რი ს. გლიგორიჩი, რომელსაც ბელგრადის რადი-ოსათვის მასალა უნდა მოემზადებინა. მან ნონას 15 კითხვა მისცა. კითხვები ეხებოდა ნონას საჭა-დრაკო ბიოგრაფიას, მის ქვეყანას, მწვრთნელთან მუშაობას, ე. ბიკოვასთან მომავალ მატჩსა და სხვ. ბოლო შეკითხვაზე, რომელი გროსმაისტერების პარტიების მიხედვით სწავლობდით თამაშს, ნონამ უპასუხა, მე მწვრთნელთან ერთად უფრო ხშირად ვარჩევდი ბოტვინიკის, ტალის, კერესის, პეტრო-სიანის, კორჩნოისა და გლიგორიჩის პარტიებსო. როცა გლიგორიჩი გაეცნო ამ პასუხს, გაიღიმა, ეგონა, რომ ნონამ მისი გვარი თავაზიანობის

გულისათვის მოიხსენია. ამიტომ საჭირო იყო იუგოსლაველი გროსმაისტერისათვის განმემარტა, რომ ნონა დიდხანს თამაშობდა შავებით ძველინდურ დაცვას, რასაც ხშირად მისი პარტიების მიხედვით ამზადებდა შეჯიბრებისათვის. შევატყვეთ, განმარტებამ იგი სავსებით დაარწმუნა ნონას გულწრფელობაში. დასასრულს ვთხოვეთ მას სიისათვის მიეწერა ფიშერის გვარიც.

ნონას პარტია გრესერთან ყაიმით ადრე დამთავრდა. სხვა პარტიებში ბრძოლა გვიან საღამომდე გაგრძელდა. ზატულოვსკაიამ დამარცხება განიცადა კონარკოვსკასთან, რითაც დაკარგა მესამე ადგილის შანსები. ჰეემსკერკმა მოუგო ვოლპერტს. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დასკვნითი, XVII ტურის წინ ნ. გაფრინდაშვილს 12,5 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოს — 10,5 ქულა, ვ. ნედელკოვიჩსა და კ. ზვორიკინას—9 ქულა თვითეულს, ტ. ზატულოვსკაიას, ა. ნიკოლაუსა და მ. ლაზარევიჩს—8,5 ქულა თვითეულს.

XVI ტურის შემდეგ, ვახშამზე, ბე და ნონამ ყველა მაგიდაზე, რომლებსაც უსხდნენ მონაწილენი, მათი მწვრთნელები, ჟურნალისტები, თითო დოქი თეთრი ღვინო და ნამცხვარი გავაგზავნეთ. ნონას გამარჯვება მიულოცა ყველა კეთილის მოსურნემ, მათ შორის ს. გლიგორიჩმაც. კარაკაშნემ გადაკოცნა იგი და საჩუქარიც მიართვა.

მეორე დღეს შედგა გადადებული პარტიების

დამთავრება, ხოლო შემდეგ დღეს ტურნირზე ყველა ისვენებდა.

24 ნოემბერი.

დღეს შეჯიბრების უკანასკნელი ტურია. ბრძოლა მიმდინარეობს ნხოლოდ მესამე ადგილისათვის.

დილით ვთხოვე ნსაჯთა კოლეგიის წევრებს, ტურნირის მონაწილეებსა და ნათ მწვრთნელებს გაეზიარებინათ თავიანთი შთაბეჭდილება ნონას თამაშის შესახებ.

ტურნირის მთავარმა ნსაჯმა, ბულგარეთის საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა, სპორტის ოსტატმა სტანჩევმა, თქვა:

— ნონა გაფრინდაშვილმა ჭეშმარიტად თამაში, გამომგონებლობით აღსავსე თამაში იცის. იგი რთულ, დახლართულ პოზიციებში ისე სწრაფად ერკვევა, ისეთ მოულოდნელ გაგრძელებებს პოულობს, რომლებიც მეტოქეებს გამოუვალ ჩიხში აყენებს. ნონას გააჩნია დიდი საჭადრაკო ტალანტი. იგი ისწრაფის დაძაბული, რთული პოზიციებისაკენ. მე შახარებს მისი დებიუტი ნსოფლიოს გამოჩენილ მოჭადრაკეებთან ჭიდილში, რომელშიც მან „დაჩაგრა" გამობრძმედილი სატურნირო მებრძოლნი ბორისენკო, ზვორიკინა, ნედელკოვიჩი და ვოლპერტი — ნსოფლიო პირველობის აღიარებული პრეტენდენტები. ქართველმა ოსტატმა სწორედ

მათთან პარტიებში გამოავლინა საუცხოო შემოქ-
მედება და სპორტული შედეგები.

ევა კარაკაშნემ და მისმა მწვრთნელმა საერთა-
შორისო ოსტატმა სილადიმ განაცხადეს: ოცი
წლის მოჭადრაკე იშვიათად თუ იქნება ისეთი
ძლიერი მოთამაშე, როგორიც ნონა გაფრინდა-
შვილია.

— ნონა გაფრინდაშვილი დაბადებულია ჭადრა-
კისათვის,— ამბობს ევა კარაკაშნე.— მან ბევრი სა-
ინტერესო პარტია და დაბოლოება გაითამაშა
ტურნირში, რომლებიც სილადიმ გადაგზავნა ბუ-
დაპეშტში უნგრულ პრესაში გამოსაქვეყნებლად.
ნონას მტკიცე ნერვები აქვს. იგი თავაზიანი, კარ-
გად აღზრდილი გოგონაა. თამაშით იგი გაუს-
წრებს სახელმოხვეჭილ ვერა მენჩიკს.

საბჭოთა საჭადრაკო დელეგაციის ხელმძღვანელ-
მა, საერთაშორისო გროსმაისტერმა იგორ ბონ-
დარევსკიმ გამიზიარა:

— ნონა გაფრინდაშვილის უპირატესობა ტურ-
ნირის სხვა მონაწილეებთან შედარებით იმაში
მდგომარეობს, რომ იგი უფრო კონკრეტულად
აზროვნებდა, თამაშობდა მსუბუქად, ცაიტნოტე-
ბის გარეშე. მის საუკეთესო მიღწევად მიმაჩნია
ლაზარევიჩთან პარტიის ფინალი და პარტიები
ბორისენკოსთან, ვოლპერტთან და ნიკოლაუსთან.
თამაშის შემდგომი სრულყოფისათვის მან ძირი-

თადად უნდა იმუშაოს ჭადრაკის სტრატეგიის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის დაბსახურებულმა მწვრთნელმა ა. კონსტანტინოპოლსკიმ თქვა:

— ამ ტურნირში ნონამ გამოავლინა თავისი უპირატესობა ტაქტიკური ბრძოლის წარმართვასა და ვარიანტების გათვლის სიზუსტეში. ამის გამო ბევრ პარტიაში რთული თამაშის გაჩაღებით გამარჯვებას აღწევდა. ჩისი შედეგი კანონზომიერად მიმაჩნია. მოხიბლული ვარ ლაზარევიჩთან პარტიის ლამაზი დასასრულით. როგორც მოჭადრაკე, ნონა იზრდება ყოველ წელს, ბაგრამ მას სჭირდება ბეჯითი მეცადინეობა ჭადრაკის თეორიაში.

საერთაშორისო ოსტატმა ჩირიჩმა (იუგოსლავია) ასეთი რამ განაცხადა:

— ვფიქრობ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ნონა მეორე ვერა მენჩიკი იქნება! იგი შეძლებს, აგრეთვე, ვაჟთა ტურნირებში მონაწილეობას. ნონა სჯობნიდა თავის მეტოქეებს და ამიტომაც დამსახურებულად გაიმარჯვა ტურნირში. ერთხელ ბე და ნონა ერთად ვისხედით დარბაზში და სადემონსტრაციო დაფაზე ვაფასებდით მისი კოლეგების პოზიციებს. მაშინ დავრწმუნდი, რომ ნონა ოსტატურად ერკვევა პოზიციის ყველა ნიუანსში.

იუგოსლავიის ჩემპიონმა ვერა ნედელკოვიჩმა განაცხადა:

— ნონა გაფრინდაშვილი ტურნირში ბრწყინვა-

ლედ თამაშობდა! პარტიებში, რომლებშიც მიმდინარეობდა პოზიციური ბრძოლა, იგი ჩინებულად ერკვეოდა, მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი იყო მწვავე ტაქტიკურ ბრძოლაში. ბუნებით იგი ნაშვიდია. თამაშობს ფხიზლად, ნათელი იდეებით. ჩემი შეხედულებით, ნონას არც ერთ პარტიაში არ ჰქონია წასაგები მდგომარეობა. მე და ნონა ერთნაანეთს პირველად შევხვდით 1959 წელს კიევში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ამხანაგურ მატჩში. მას შემდეგ ნონა საგრძნობლად გაიზარდა და მისი გამარჯვება ტურნირში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

მ. ლაზარევიჩის მწვრთნელმა სპორტის ოსტატმა მინიჩმა ასე შეაფასა ნ. გაფრინდაშვილის თამაში:

— ნონა ერთი კლასით მაღლა იდგა თავის კოლეგებზე. პარტიის ყველა სტადიას თამაშობს ოსტატურად. კარგად მიჰყავს იერიში, თავის დროზე გრძნობს საშიშროებას და უვნებელყოფს მას. გამოირჩევა გასაოცარი მოთმინებითა და გამძლეობით.

დილიდანვე უამრავი მოსალოცი დეპეშა მოვიდა თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ბაქოდან, საქართველოს რაიონებიდან. ამხანაგები, მეგობრები, საწარმოო კოლექტივები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები გულთბილი სიტყვებით ულოცავდნენ ნონას დიდ გამარჯვებას.

მე და ნონა აღელვებული და ბედნიერი ვიყავით!

საღამოს შედგა ტურნირის დამამთავრებელი XVII ტური. გაფრინდაშვილ—შოდე დე სილანისა და ბორისენკო—გრესერის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, ნონამ ტურნირი დაამთავრა დაუმარცხებლად. 13 ქულა შოაგროვა 16-დან, ბრწყინვალედ დაიკავა პირველი ადგილი და მოიპოვა ‘ოსფლიო ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვასთან მატჩის უფლება. მას 2 ქულით ჩამორჩა ვალენტინა ბორისენკო, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

ტ. ზატულოვსკაია

მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მესამე ადგილისათვის. საქმე ისაა, რომ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის დადგენილების თანახმად, მესამე ადგილის გაყოფის შემთხვევაში აქვე, ვრნიაჩკა-ბანიაში, უნდა შემდგარიყო დამატებითი შეჯიბრება მესამე პრიზიორის გამოსავლინებლად. ეს კი დაკავშირებული იყო ზოგიერთი ჩვენი ამხანაგის დარჩენასთან იუგოსლავიაში, მაშინ, როცა ყველას სურდა სამშობლოში მალე დაბრუნება.

ძლიერად ითამაშა ზატულოვსკაიამ ჰეემსკერკ-თან და 36-ე სვლაზე გაიმარჯვა. მან მოაგროვა 9,5 ქულა 16-დან. ამდენივე ქულა მოაგროვა ლაზარევიჩმა, რომელმაც ბოლო დღეს მოუგო რინდერს. მესამე ადგილის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო ზვორიკინა—კონარკოვსკასა და ნედელკოვიჩ—ნიკოლაუს პარტიებში. ეს შეხვედრები მიმდინარეობდა მწვავედ და არ დამთავრებულა, გადაიდო კონარკოვსკასა და ნედელკოვიჩისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

დილით გაზეთ „პოლიტიკაში“ მოათავსეს წერილი: „ნონა გაფრინდაშვილმა გამოიწვია ბიკოვა“. სტატიაში ეწერა, რომ ქართველმა ოსტატმა დამსახურებულად მოიპოვა უფლება გამოიწვიოს მსოფლიო ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა. მან დამსახურებულად მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება. მან მოგვაგონა შესანიშნავი მოჭადრაკის ვერა მენჩიკის დიდების დღეები!

25 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

შუადღისას შედგა გადადებული პარტიების დამთავრება. ნედელკოვიჩმა ვერ შეძლო მოგება და ყაიმზე შეუთანხმდა ნიკოლაუს. კონარკოვსკამ ყოველი ღონე იხმარა, რათა აუცილებლად მოეგო პარტია, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, დაუშვა შეცდომა და წააგო იგი. ამით მესამე ადგილი ერგო კირა ზვორიკინას.

მაშინ, როცა სატურნირო დარბაზში მიმდინარე-

ობდა გადადებული პარტიების დამთავრება, ჰოლში ნონა მონაწილეობდა ხუთწუთიან ბრძოლებში თავისუფალ მონაწილეებსა და მწვრთნელებთან.

ნონას უყვარს და კარგადაც თამაშობს ელვისებურ პარტიებს. მაგრამ ტურნირის დროს აკრძალული ჰქონდა მონაწილეობა ასეთ თამაშში, რომელსაც ხშირად მართავდნენ სასტუმროს ჰოლში იუგოსლაველი და რუმინელი მოჭადრაკეები. ახლა კი სხვა საქმეა. ტურნირი დამთავრებულია, შეიძლება გაერთო.

ნონამ მოუგო ლაზარევიჩს—3:0, პოლიქრონიადეს—3:0 და მის მწვრთნელს ოსტატ სემიანუს—3:0, რომელიც, მისი სიტყვით, უნდა „დახმარებოდა“ თავის აღზრდილს. პოლონელმა ოსტატმა დოდმა—კონარკოვსკას მწვრთნელმა — პირველივე პარტია წააგო და წავიდა სატურნირო დარბაზში, სადაც მას ახალი უსიამოვნება ელოდა. ზვორიკინასთან წაგების შემდეგ კონარკოვსკამ დაკარგა მეათე საპრიზო ადგილის გაყოფის შანსი (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ამ ტურნირში პირველი ათი ადგილი საპრიზო ადგილებად ითვლებოდა). ეს ადგილი დარჩა პოლიქრონიადეს.

საღამოს 8 საათზე კინოთეატრის შენობაში გაიმართა ტურნირის საზეიმო დახურვა. გარეთ ზღვა ხალხია. ნაცნობობით შემყავს პრეს-ბიუროს ტელეფონისტი ქალი მეუღლითურთ. ისინი მე ძალიან

მიწყობდნენ ხელს თბილისთან ლაპარაკის დროს. დარბაზში ტევა არაა. სცენა საზეიმოდაა მორთული. ბელგრადიდან ჩამოვიდნენ საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენელი, იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი, ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გროსმაისტერი მატანოვიჩი და სხვები. სტუმრებს შორისაა ბელგრადში საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი.

ორგკომიტეტის თავმჯდომარე მონაწილეებს ულოცავს ტურნირის დამთავრებას. იგი ესალმება ნონა გაფრინდაშვილს. დარბაზი მქუხარე ტაშით გამოხატავს თავის სიმპათიებს ტურნირის გმირისადმი. ნონა დგება და მოღიმარი, თავის ოდნავი დახრით ყველას მადლობას უხდის. შემდეგ ორგკომიტეტის თავმჯდომარე ულოცავს გამარჯვებას ვალენტინა ბორისენკოსა და კირა ზვორიკინას.

თავის სიტყვაში ორგკომიტეტის თავმჯდომარე აღნიშნავს ტურნირის დიდ მნიშვნელობას ჭადრაკის ისტორიისათვის და აგრეთვე მის როლს ხალხთა შორის მეგობრობის გამტკიცების საქმეში.

შემდეგ გამოდის ტურნირის მთავარი მსაჯი სტანჩევი. იგი ამბობს, რომ ტურნირი ჩატარდა სანიმუშოდ, ყოველგვარი ინცინდენტის გარეშე. მოჭადრაკეებმა აიმაღლეს თამაშის დონე და ჭადრაკს შესძინეს შემოქმედების თვალსაზრისით ბევრი საინტერესო პარტია. მან ილაპარაკა ნონა

გაფრინდაშვილის წარმატების შესახებ და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ იგი აღმოჩნდა ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე.

ხდება ტურნირში გამარჯვებულთა დაჯილდოება. ნონა გაფრინდაშვილს გადასცეს კონვერტი პირველი პრიზით—100 000 იუგოსლავური დინარით. ქ. კრალევოს მაგნოქრომის ქარხანამ პირველ ადგილზე გამოსულს გამოუგზავნა რადიოლა. ტურისტთა საზოგადოება „გოჩმა“ მიართვა ნონას ფოტოალბომი და კაკლის ხისაგან გამოთლილი ლარნაკი.

მიკროფონთან მიდის ნონა გაფრინდაშვილი. იგი ეხურვალე მადლობას უხდის იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციას, ტურნირის ორგანიზატორებს, მსაჯთა კოლეგიას მონაწილეთა გულთბილი მიღებისა და შეჯიბრების კარგი ორგანიზაციისათვის.

პრიზები და ჯილდოები გადაეცათ აგრეთვე ვ. ბორისენკოსა და კ. ზვორიკინას.

პრეტენდენტთა ტურნირის ყველა მონაწილე ეწყობა სცენაზე, წითელყელსახვევიანი პიონერები ესალმებიან გამოჩენილ მოჭადრაკეებს და გადასცემენ მათ ცოცხალი ყვავილების თაიგულებს.

დასასრულს შედგა იუგოსლავიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის კონცერტი. შემდეგ რესტორან „ზვეზდაში“ გაიმართა ბანკეტი. ბანკეტზე მეგობრულად საუბრობდნენ და ცეკვავდნენ გუშინდელი „მტრები“.

26 ნოემბერი.

ტურნირი დამთავრდა. მსოფლიოს 17 გამოჩენილმა მოჭადრაკემ გამოავლინა თამაშის მაღალი ოსტატობა. ისინი შესანიშნავად ფლობენ საჭადრაკო ბრძოლის ტექნიკურ ხერხებს, თეორიას. მე შემექნა ცალკეულ მონაწილეებზე საკუთარი შეხედულება.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ვ. ბორისენკო მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკეა. მას არა ერთხელ უსახელებია თავი დიდ ტურნირებში. იგი სპორტის ოსტატ გიორგი ბორისენკოს ხელმძღვანელობით ბევრს მუშაობს თავის თავზე. ვ. ბორისენკო დიდ ყურადღებას აქცევს დებიუტის შესწავლას. ამიტომ უარესად გრძნობს თავს კომბინაციურ გართულებებში. ძალიან ძლიერად თამაშობს თეთრებით. ვ. ბორისენკოს არ უყვარს დაცვა, ვერ იტანს მოწინააღმდეგის ინიციატივას. მორალურადაც არ არის მტკიცე. ტურნირის დასაწყისში მას შვიდი ტურის შემდეგ მხოლოდ 3,5 ქულა ჰქონდა. შემდეგ მთელი ძალით ითამაშა, მაგრამ სტარტზე დაკარგული ვეღარ აღადგინა. ვ. ბორისენკო მზრუნველი დედაა. მისი პირმშო 6 წლისაა. არის მუსიკისა და მხატვრული ლიტერატურის მოყვარული.

მინსკელმა კირა ზვორიკინამ პრეტენდენტთა 1958 წლის ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. ახლანდელ ტურნირში ასეთ ბრწყინვალე შედეგს

ველარ მიაღწია, მაგრამ მას მაინც ჰქონდა გარკვეული წარმატებები. მოიპოვა პრეტენდენტთა მომავალ ტურნირში მონაწილეობის პერსონალური უფლება. კ. ზვორიკინას კარგად ესმის ჭადრაკის არსი. იგი პროფესიით კინორეჟისორია. ჰყავს 7 წლის ბიჭუნა საშკო.

კ. ზვორიკინა

ბაქოელი ტატიანა ზატულოვსკაია ახალგაზრდა ნიჭიერი ოსტატია. იგი განსაკუთრებით კარგად ერკვევა რთულ პოზიციებში. უყვარს იერიში, მაგრამ სუსტად თამაშობს დაბოლოებებს, ზოგჯერ ცაიტნოტში ექცევა.

ტურნირში სათანადო მომზადების შემთხვევაში უკეთესად შეეძლო ეთამაშა ლარისა ვოლპერტს. იგი ზედმეტად ბევრს მუშაობს სადებიუტო პრობლემებზე. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირზე იგი ზუსტად იცავდა რეჟიმს, გულმოდგინედ იბრძოდა ყველა პარტიაში, მაინც ვერ გამოავლინა მთელი თავისი შესაძლებლობა და ნიჭი. ამის მიზეზია ის, რომ ნერვიულობდა და ვერ გაუძლო უკიდურესობამდე დაძაბულ ბრძოლას. მას უძილობა დასჩემდა,

გამოიფიტა შემოქმედებითად. ამიტომ ბოლო სამ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა მოაგროვა.

უცხოელი მოჭადრაკეებიდან, ჩემის აზრით, ნეტს მოველოდით ვერა ნედელკოვიჩისაგან. იგი ნიჭიერი მოჭადრაკეა. კარგად ერკვევა პარტიის ყველა სტადიაში. ამასთან ძლიერი ხასიათის ადამიანია. მაგრამ მოუმზადებელი აღმოჩნდა ტურნირისათვის, რამაც თავი იჩინა ტურნირის ფინიშზე ნიკოლაუსთან პარტიაში. რასაკვირველია, ვერა ნედელკოვიჩისაგან ახლო მომავალში მოსალოდნელია დიდი წარმატებები.

უკეთესად თ.ამაშობდა იუგოსლავიის მეორე წარმომადგენელი მილუნკა ლაზარევიჩი, რომელიც სტარტზე თავისი მუდმივი კონკურენტის ვ. ნედელკოვიჩის დამარცხების შემდეგ საგრძნობლად დაწინაურდა. მაგრამ ნ. გაფრინდაშვილთან პარტიის წაგების შემდეგ დაკარგა საკუთარი თავის რწმენა და ზედიზედ ორჯერ დამარცხდა. ჩემის აზრით, ლაზარევიჩიც არ იყო სათანადოდ მომზადებული ტურნირისათვის.

უნგრელი ევა კარაკაშნე გამოცდილი მოჭადრაკეა. იგი ჩინებულად თამაშობდა ტურნირის პირველ ნახევარში, მაგრამ შემდეგ დაიღალა და ვერ გაუძლო ლიდერებთან ჭიდილს. ბუნებით მშვიდი, თავაზიანი ევა, ჩანს, ყოველ წელს იზრდება, როგორც მოჭადრაკე.

ტურნირში კარგად ითამაშეს ახალგაზრდა რუ-

მინელებმა—ალექსანდრა ნიკოლაუმ და ელიზბეტ პოლიქრონიადემ. ნიკოლაუს დებიუტმა პრეტენდენტთა ტურნირზე კარგად ჩაიარა. იგი უდავოდ პერსპექტიული მოჭადრაკეა. მას შესანიშნავად მიჰყავს იერიში, კარგად ერკვევა კომბინაციურ გართულებებში. აკლია გამოცდილება, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ 22 წლისაა.

ს. ჰუნდსურენი

პოლიქრონიადეს მეათე ადგილი წარმატებად უნდა მივიჩნიოთ.

არათანაბრად ჩაატარა ტურნირი პოლონელმა ჰენრიკა კონარკოვსკამ. მას აკლია სატურნირო მებრძოლის ჩვევები, „სპორტული ჟინი". მაგრამ იგი ახალგაზრდაა.

ლიზა ლეინს თავის თავზე სერიოზული მუშაობა ჰმართებს.

ტურნირის უფროსი ასაკის მონაწილეებმა, გერმანელმა ფრიდა რინდერმა, ფრანგმა შანტალ შოდე დე სილანმა, ამერიკელმა გიზელ გრესერმა და ჰოლანდიელმა ფანი ჰეემსკერკმა, ცალკეულ პარტიებში საუცხოო თამაში გამოავლინეს, მაგრამ ვერ

აიტანეს ხანგრძლივი და დაძაბული ბრძოლა, ვერ მიიღეს მონაწილეობა ჭიდილში საპრიზო ადგილებისათვის.

მონღოლი ჰუნდსურენი პირველად მონაწილეობდა ესოდენ სერიოზულ ტურნირში და ყოველი ტურით მატულობდა მისი ძალა. ეჭვი არ არის, რომ იგი პერსპექტიული მოჭადრაკეა. ბუნებას ჰუნდსურენი დაუჯილდოებია დიდი პოზიციური ინტუიციით.

ყველა ვტოვებთ ვრნიაჩკა-ბანიას. ორი ავტობუსით გავემგზავრეთ ბელგრადში.

28 ნ ო ე მ ბ ე რ ი.

ჩვენ ისევ, როგორც პირველად ჩამოსვლისას ბელგრადში, ვჩერდებით სასტუმრო „პრალაში". სამშობლოში გამომგზავრებამდე ორი დღე გვაქვს.

ვსარგებლობთ ახალგაზრდა იუგოსლაველი მოჭადრაკის კატია იოვანოვიჩის მიწვევით; მე, ნონა და ბონდარევსკი მივედით მის ოჯახში. იოვანოვიჩი წელს თბილისში მონაწილეობდა საერთაშორისო ტურნირში და, როგორც ჩანს, არ დავიწყებია ქართული სტუმართმოყვარეობა.

იოვანოვიჩების ოჯახში ჭადრაკს სამივე ქალიშვილი თამაშობს. კატია უკვე სპორტის ოსტატია. მან წელს იუგოსლავიის პირველობაში პირველი-მეორე ადგილი გაიყო. 15 წლის რუჟიცა, შესანიშნავი გარეგნობის გოგონა, პირველთანრიგოსანია. გაგვაკვირვა 10 წლის გორდანამ. მან

განსაკუთრებით მოხიბლა ნონა. პატარა მოქადრაკე დაფაზე დაუხედავად ეთამაშა პარტიას ბონდარევსკის, ხოლო შემდეგ, აგრეთვე, დაფაზე დაუხედავად ამოხსნა პაულ მორფის ცნობილი ორსვლიანი ამოცანა.

კატიას მშობლებმა გულთბილად მიგვიღეს და სერბიული გულუხვობით გაგვიმასპინძლდნენ ღვინით, სხვადასხვა საჭმელებით, ხილით და ბოლოს შავი ყავით.

კეთილი მოხუცი იყო კატიას პაპა. მან მოიგონა საბჭოთა არმიის ოფიცერი, რომელსაც მალავდა ომის დროს და რომელსაც დაუმეგობრდა პატარა კატია. როცა ბონდარევსკიმ უთხრა, იმ ოფიცერივით მეც ლენინგრადიდან ვარო, მას ძალიან გაუხარდა. ბონდარევსკის შეკითხვაზე, რატომ ჰქვია მათ ქუჩას დონის ქუჩა, მოხუცმა აუხსნა, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აქ დასახლდა გრძელულვაშებიანი, წითელშარვლიანი ბრგე კაზაკი, რომლის პატივსაცემად ქუჩას დაარქვეს მისი სამშობლო მხარის — დონის როსტოვის სახელი.

29 ნოემბერი.

აეროდრომზე ვართ. ღრუბლიანი ამინდია და ჩვენი თვითმფრინავი ვერ მიფრინავს. აქვე არიან ჩვენი მასპინძლები, რომლებიც გვპატიჟობენ ყავაზე, გვიზიარებენ თავიანთ შთაბეჭდილებას ტურნირის შესახებ.

მოგვცეს გაფრენის უფლება. მეგობრულად ვემშვიდობებით ყურადღებიან იუგოსლაველებს მაღლა, ღრუბლებს ზემოთ, მიცურავს ჩვენი თვითმფრინავი. გვერდით მიზის ნონა, რომელსაც ჩაეძინა ძრავის მონოტონურ „სიმღერაში“. ვუცქერი მას და მაგონდება 1957 წლის ზამთარი, როცა იგი ჩემთან სახლში მოიყვანა მისმა დეიდამ. ნონა უკვე შესანიშნავად ერკვეოდა ჭადრაკში. მაშინ ნიჭიერი გოგონა თბილისის ბავშვთა სპორტული საჭადრაკო სკოლის მოწაფე იყო.

რა მალე გაირბინა დრომ! ახლა „პატარა ნონა“ უკვე მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტია. მან სიხარული მოუტანა საქართველოს და კიდევ უფრო მაღლა ასწია საბჭოთა ჭადრაკის დროშა.

გამარჯვებული

— მე ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ტურნირში მსოფლიო ჩემპიონებსა და გამოჩენილ გროსმაისტერებთან ერთად, მაგრამ ისეთი ინტერესი საჭადრაკო ტურნირისადმი, რომლის მომსწრეც გავხდი 1956 წლის გაზაფხულზე თბილისში, აღემატება ნანახს, — მითხრა ერთხელ გროსმაისტერმა ანდრე ლილიენტალმა. — შეჯიბრებით გამოწვეულმა საერთო აღტკინებამ მაგრძნობინა, რომ ქართული ჭადრაკის ამაღელვებელი მოვლენის უნებლიე მოწმე გავხდი. დიახ, ქართველმა ხალხმა შეიძინა და ქვეყანას მისცა დიდი მოჭადრაკე ქალი.

ბევრ თბილისელს და არათბილისელს ალბათ ახსოვს საჭადრაკო სარბიელზე ნონა გაფრინდაშვილის გამოჩენა. ჯერ იყო და 15 წლის ბაფთიანმა გოგონამ ყველასათვის მოულოდნელად მოიპოვა დედაქალაქის ჩემპიონის სახელი. შემდეგ საქართველოს პირველობაზე, რომელშიც ცნობი-

ლი ქართველი მოჭადრაკეების გვერდით კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ მოსკოველი ოსტატები ო. იგნატიევა და ნ. ვოიცეკი, პატარა ნონა სტუმრებსაც კი არ მოერიდა და პირველი ადგილი დაიკავა. უკვე მაშინ მიაქცია ყურადღება სპორტულმა საზოგადოებრიობამ ზღაპრული სისწრაფით მზარდ ნორჩ მოჭადრაკეს. საჭადრაკო კლუბი, სადაც შეჯიბრება მიმდინარეობდა, ვერ იტევდა ნონას გულშემატკივრებს, მაგრამ როცა მათი „კერპი“ დაწინაურდა სსრ კავშირის პირველობის ნახევარფინალში, რომელიც თბილისში რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში მოეწყო, აჟიოტაჟმა სპორტის ყველა მოყვარული მოიცვა. საკონცერტო დარბაზში მოხვედრა ბევრისათვის ოცნებად იქცა. ხოლო ის, ვინც ბილეთს იშოვიდა და დარბაზში ადგილს დაიკავებდა, თავს უზომოდ ბედნიერად თვლიდა. გარეთ, რუსთაველის პროსპექტზე, გულშემატკივრები შეგროვილიყვნენ და აფერხებდნენ ტრანსპორტის მოძრაობას. სწორედ ამ დღეების მომსწრე გამხდარა გროსმაისტერი ა. ლილიენტალი თბილისში ყოფნისას.

მაშინ მხოლოდ ნონას არ აკვირვებდა ეს აურზაური: ხომ სწორედ ამისათვის დატოვა ზუგდიდი, ნშობლიური კერა, დედ-მამა, ძმები და თბილისში გადმოსახლდა დეიდა ტატიანასთან. განა ტყუილად დადიოდა იგი პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ვახტანგ ქარსელაძესთან, რომე-

ლიც მას ჭადრაკის საიდუმლოებას უხსნიდა, აცნობდა ამ მეფური თამაშის თეორიულ საფუძვლებს, თვითონაც ერკინებოდა და ათამაშებდა ბიჭებთან, რომლებიც ახლოლოდ წაგების შემდეგ ხვდებოდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე და ყურებს ჩამოყრიდნენ ხოლმე. თუმცა მონდომებულ მეცადინეობას, ჭადრაკისადმი დაუშრეტელ სიყვარულს არც შეიძლება სხვა შედეგი მოჰყოლოდა. ამიტომაც, როცა ნონას მისი საჭადრაკო მიღწევების შესახებ ეკითხებოდნენ, იგი ბავშვური ღიმილით გამოხატავდა გაკვირვებას.

რასაკვირველია, ნონას ახლობლებიც მაშინ დარბაზში იყვნენ. რამდენჯერ შემიმჩნევია სიხარულით აცრემლებული მშობლები და ახლობლები, რომლებიც ნონას თავს ევლებოდნენ. არც ეს არის გასაკვირი. ნონას მამას, ზუგდიდის სასოფლოსამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგს ტერენტი გაფრინდაშვილს, ამჟამად საქართველოს დამსახურებულ მასწავლებელს, ერთი ოცნება ჰქონდა—ქალიშვილი ჰყოლოდა და აკი ნატვრა აუსრულდა. ოთხი ვაჟის შემდეგ ნონა დაიბადა. კიდევ ერთი ასული უნდოდა გახარებულ ტერენტის, მაგრამ ბუნებამ მეხუთე ვაჟი შესძინა. მაშინ იგი „ბედს“ შეურიგდა. მაგრამ რა ბედენაა. 13 წლის ნონა „მოსტაცეს“. გოგონას საჭადრაკო ნიჭმა გაახარა ნშობლები, ბებია ქიონია. მათი ერთადერთი ქალიშვილი ახალი საქართველოს სათაყვანებელი

მოჭადრაკე გახდა. ამაზე მეტი ბედნიერება ნშობლებისათვის განა წარმოსადგენია! სწორედ ამ სასიხარულო წუთებში ბევრჯერ გაიხსენეს, როგორ აიდგა მათმა პირნშომ ფეხი დიდი ჭადრაკისაკენ.

ტერენტი გაფრინდაშვილი ჭიათურელია. ჭადრაკს თამაში სტუდენტობის წლებში ისწავლა. მაშინ ქართული საზოგადოებრიობა ვიქტორ გოგლიძის წარმატებებით იყო გატაცებული. მომავალ ეკონომისტს შოჭადრაკის პრეტენზიები როდი ჰქონდა. ზუგდიდში დაოჯახების შემდეგ ჯერ მეუღლეს ასწავლა თამაში, შემდეგ თავის ვაჟებს. ბიჭები მოიხიბლნენ თამაშით და ახალწამოჩიტულ დასაც აუხსნეს მისი საიდუმლოება. 5 წლის ბავშვი ჭადრაკმა ისე გაიტაცა, რომ თოჯინებიც კი მიივიწყა. საერთოდ ნონას ბიჭური თამაშები იზიდავდა, რადგან სახლში და მეზობლად არ ეგულებოდა ტოლი გოგონები. იგი ძმების წაბაძვით დასდევდა ბურთს, იპარებოდა იპოდრომზე ცხენოსანთა შეჯიბრების საყურებლად. ბებია ქიონია ტუქსავდა მას, მაგრამ ამაოდ. ამიტომ არის, რომ დღესაც ნონას ფეხბურთი იტაცებს, თბილისის „დინამოს“ არც ერთი მატჩი არ გაუცდენია. თუ ადრე თვითონ გატაცებით თამაშობდა ბურთს, უყვარდა კარში ჩადგომა (ეს ადგილი მისი ძმების გუნდში მუდამ თავისუფალი იყო, რადგან არავის უნდოდა მეკარეობა), ახლა ქალიშვილმა მისთვის შესაფერ საქმეს—მაგიდის ჩოგბურთს მოჰკიდა

ხელი. აქაც ხომ საჭიროა სისწრაფე, მოქნილობა, გონებამახვილობა და სპორტული ჟინი. დღეს ნონა გაფრინდაშვილი საკმაოდ ძლიერი მაგიდის ჩოგბურთელია. ამაში იუგოსლავიაში პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილეებიც დარწმუნდნენ.

პატარა ნონას ჭადრაკით გატაცება მშობლებმა ნაადრევად მიიჩნიეს და სამართლიანად უკრძალავდნენ თამაშს. მაგრამ მას ძმების თამაშის ყურებაც სიამოვნებას ჰგვრიდა. მხოლოდ 11 წლისა იყო ნონა, საჭადრაკო სარბიელზე რომ გამოვიდა ოფიციალურად. ბებია ქიონიას ჩუმად პატარა ნონას მანამდეც მიუღია მონაწილეობა ტურნირში. ეს იყო 1946 წელს კურორტ მზეთამზეში, სადაც დამსვენებელთა შორის ოლიმპიური წესით გამართულ შეჯიბრებაში მან მესამე ადგილი დაიკავა. თვითონ ნონასაც ვერ გაეგო, როგორ გაიმარჯვა — ალბათ მითმობდნენო, — ამბობს იგი. — წაგების შემდეგ გულიანი ტირილი ვიცოდიო. მისი ნათლობა ნამდვილ მოჭადრაკეებთან მოხდა ბათუმში საქართველოს მოსწავლეთა გუნდურ პირველობაზე, რომელშიც ნონა მონაწილეობდა, როგორც ზუგდიდის მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრი. პატარა მოჭადრაკის თამაშის მანერამ და კომბინაციურმა მხედველობამ ვახტანგ ქარსელაძის ყურადღება მიიქცია. მწვრთნელმა შეამჩნია ნონას დიდი ნიჭი და მშობლებს მისი თბილისში გადმოყვანა ურჩია. გამოცდილმა პედაგოგმა ნო-

ნა ათამაშა საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე თბილისში, სადაც ნიჭიერმა გოგონამ მეოთხე ადგილი დაიკავა, და საბოლოოდ დარწმუნდა მის დიდ საჭადრაკო ნიჭში.

— მახსოვს, როგორ მეძნელებოდა განშორება ერთადერთ ქალიშვილთან,—იგონებს ტერენტი გაფრინდაშვილი.—მაგრამ რა მექნა, ვგრძნობდი ასე სჯობდა მისთვის.

მალე ნონა საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა. აქ იყო მისი ორი ძმაც, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ. ჭადრაკში მეცადინეობამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ვახტანგ ქარსელაძე არ ზოგავდა დროს, ენერგიას, მონდომებას, ცოდნას. ორი წლის დაუღალავ მუშაობას სათანადო წარმატებებიც მოჰყვა.

ნონას გამარჯვებას ზეიმობდნენ ზუგდიდელებიც. მაგრამ ეს წარმატება მათ თითქოს არ აკვირვებდა, რადგან გაფრინდაშვილების ოჯახი მოჭადრაკეთა ოჯახად იყო ცნობილი. მართლაც, ნონას სამ ძმას—ეკონომისტ ემზარს, სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ზუგდიდის რაისაბჭოს თავმჯდომარეს ჯემალსა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს მურადს ამჟამად პირველი თანრიგი აქვთ, ინჟინერ თამაზს—მეორე, ხოლო მეოთხეკლასელ ნუგზარს უკვე შეიძლება მესამე თანრიგი მიენიჭოს.

1956 წელს ნონა გაფრინდაშვილის ბრწყინვა-

ლე სტარტში აალაპარაკა საჭადრაკო სამყარო. მართალია, ჩვენი ქვეყნის ქალთა XVIII ჩემპიონატში ვერ აჩვენა მაღალი სპორტული შედეგი, მაგრამ ყველას აგრძნობინა, რომ მისი სახით დიდი მოჭადრაკე იზრდება. იგი შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრებში.

მომდევნო წლებში ნონა სისტემატურად მონაწილეობს სსრ კავშირის ჩემპიონატებში, სადაც უფრო შესანიშნავია მისი დაოსტატება, დამაჯერებლობა და სპორტული მაჩვენებლების მკვეთრი ზრდა.

დიდი ღვაწლი დასდო ვახტანგ ქარსელაძემ ქართულ ჭადრაკს. მან მიზნად დაისახა ფართო საჭადრაკო სარბიელზე გამოეყვანა ქართველი მოჭადრაკე ქალები. გაწეულ შრომას სასიხარულო შედეგი მოჰყვა. უკვე 1956 წლიდან ორი-სამი ქართველი მოჭადრაკე ქალი ყოველთვის მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. ნიჭიერება მწვრთნელმა თავისი „ბუდიდან“ ნონა გაფრინდაშვილის გარდა ააფრინა სპორტის ოსტატები მანანა ტოგონიძე, ელისო კაკაბაძე და სხვა ნიჭიერი მოჭადრაკე ქალები. ვახტანგ ქარსელაძეს დაუფასდა საშვილიშვილო საქმე. მას ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთ პირველს მიენიჭა ჭადრაკში საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

1957 წლიდან ნონას მწვრთნელია სპორტის ოსტატი მ-ხეილ შიშოვი. იგი თბილისში დაიბადა

ნონა გაფრინდაშვილი და მიხეილ შიშოვი.

და გაიზარდა. ჭადრაკს თამაშობს თითქმის 35 წელია. მწვრთნელადაც კარგა ხანია მუშაობს. მან ქართულ ჭადრაკს გამოუზარდა ოსტატი ბუხუტი გურგენიძე. შიშოვი პროფესიით რკინიგზის ინჟინერია. იგი საქართველოს ხუთგზის ჩემპიონია. მონაწილეობა მიუღია მრავალ დიდ ტურნირში. ცხადია, ასეთმა გამოცდილმა მწვრთნელმა ნაყოფიერად განაგრძო ნონასთან მუშაობა. იგი მთელი მონდომებით გადასცემდა მას თავის მდიდარ გამოცდილებას, ამუშავებდა დებიუტებს, ტიპიურ პოზიციებს და სხვ. უკვე 1958 წლის ბოლოს საბჭოთა კავშირის XX ჩემპიონატში ნონამ მესამე ადგილი დაიკავა, რისთვისაც სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა. ეს კი დიდი ამბავი იყო, რადგან მსოფლიოს მოჭადრაკე ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილმა პირველმა მიაღწია ამ მაღალ წოდებას 17 წლის ასაკში. ამასთან, ახალი ფურცელი ჩაიწერა ქართული ჭადრაკის ისტორიაში: ის ხომ ჭადრაკში პირველი ოსტატი ქალი იყო საქართველოში.

ნ. გაფრინდაშვილის წინ გადაიშალა სპორტული და შემოქმედებითი მიღწევების ფართო შარაგზა.

ჭადრაკი დიდ, ყოველდღიურ და გეგმიან შრომას მოითხოვს. მაგრამ ნიჭიერი გოგონა არ შეუშინდა სიძნელეებს. ჯერ კიდევ ვახტანგ ქარსელაძე უნერგავდა მას სიბეჯითეს, შრომისმოყვარეო-

ბას, მაგრამ არც თვითონ იყო ნაკლებად მონდომებული. ჭადრაკის დაფასთან ხშირად დაუღამებია.

რაკი დიდი წარმატებების წინაპირობა—ნიჭი და შრომისმოყვარეობა ჰქონდა, ნონამ და მისმა მწვრთნელმა მიხეილ შიშოვმა შეიმუშავეს თავიანთი „საბწლედი“. ამ გეგმით ნონას ისე უნდა აემაღლებინა ოსტატობა, რომ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში მოხვედრილიყო. ეს განზრახვა ცოტა არ იყოს ზედმეტად თამამი მოჩანდა. ნონა და მიხეილ შიშოვი შეუდგნენ დაძაბულ შრომას. ისინი კვირაში ოთხჯერ-ხუთჯერ მეცადინეობდნენ.

1959 წლის ზამთარში ჩვენს დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის XXVI ჩემპიონატი, რომელშიც ჩემპიონის ოქროს მედლისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ მ. ტალი, ტ. პეტროსიანი, დ. ბრონშტეინი, პ. კერესი, ვ. სმისლოვი და სხვა გამოჩენილი მოჭადრაკეები. ტურნირი ნონასა და მისი კოლეგებისათვის „საჭადრაკო უნივერსიტეტად“ გადაიქცა. მან ბევრი რამ ახალი გაიგო, ღრმად ჩაწვდა მიხეილ ტალის თამაშის საიდუმლოებას. მასაც ხომ იერიში, კომბინაციური ბრძოლა და ყოველი სვლით მოწინააღმდეგის „შეწუხება“ მოსწონდა. ამის შემდეგ ნონა გამოუსწორებელი „ტალისტი“ გახდა.

— შვილო, ნონა, — უთხრა ერთხელ მას ჩემ-

პიონატის დროს თბილისში მყოფმა ტალის დედამ,—გატყობ, მოგწონს ჩემი შვილის თამაშის სტილი. ამიტომ აუცილებლად უნდა გაგაფრთხილო. მე დიდად ვერ ვერკვევი ჭადრაკში, მაგრამ მიშას თამაში ძალიან ძაღელვებს. მას ცეცხლთან თამაში უყვარს. დედის გული კი ამას ადვილად ვერ იტანს. შენ რა, დედიკო არ გეცოდება?

ამაზე ნონამ მოკრძალებით გაიღიმა. არაფერი უთქვამს. გულში კი გაიფიქრა: როგორ არ მიყვარს და არ მეცოდება. მაგრამ რა ვქნა, ძალიან მიყვარს ბწვავე, დაძაბული ბრძოლები.

ჩემპიონატის დროს ნონა პირისპირ შეხვდა გამოჩენილ მოჭადრაკეებს ელვისებურ თამაშში. მისმა სწრაფმა რეაქციამ და სადებიუტო ერუდიციამ გროსმაისტერ დ. ბრონშტეინის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ზუგდიდელთა დაჟინებული თხოვნით მათ ქალაქში ჩატარდა ტურნირი საქართველოს პირველობაზე ქალთა შორის. ნონა კვლავ დაეუფლა ჩემპიონის სახელს და ერთხელ კიდევ გაახარა მასპინძლები.

აქა-იქ გაისმა ხმები, ნ. გაფრინდაშვილი უმწეო აღმოჩნდება ვაჟებთან თამაშშიო. როცა ნონამ ეს შეიტყო, სთხოვა ჭადრაკის მესვეურებს, დაეშვათ იგი ვაჟთა პირველობაზე. მთელი თვე უშიშრად, მხნედ ებრძოდა ჭარბ ძალებს და იცით, როგორი შედეგით დაასრულა ეს შერკინება? აქ მთა-

ვარი დაკავებული ადგილი კი არაა, არამედ ინდივიდუალური მიღწევები საქართველოს წამყვან მოჭადრაკეებთან შეხვედრებში. აი, ისიც: მოუგო ა. ბლაგიძეს, ხოლო პარტიები ბ. გურგენიძესთან, მ. შიშოვთან, ა. ბუსლაევთან, თ. გიორგაძესთან ყაიმით დაამთავრა მრავალსაათიანი ბრძოლის შემდეგ. როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია!

ზაფხულში, რიგაში საქართველოს ნაკრები გუნდის საწვრთნელი შეკრების დროს, მოეწყო ელვისებური ტურნირი ლატვიისა და საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეების მონაწილეობით. ამ შეჯიბრებაში ტალთან ერთად ითამაშა ნონამაც. მან 18 კაცში მეექვსე ადგილი დაიკავა და უკან ჩამოიტოვა ბევრი ცნობილი ოსტატი. ამ შეჯიბრებიდან მინდა გავიხსენო ცხოლოდ ტალისა და ნონას შეხვედრა.

ნონა არ შეუშინდა ტალის ავტორიტეტს და მძლავრად ეკვეთა მას. ნწვავე პოზიციაში „მოატყუა“ კიდეც და ფიგურა ‘ოიგო. ტალს ლოყები აუწითლდა, უმატა თამაშის ტემპს. ნონაც აჰყვა, მაგრამ ტალმა გაიმარჯვა მოხდენილი კომბინაციით. როგორც კი ნონა დანებდა, ტალმა გაარღვია მაგიდას შემოხვეულ გულშემატკივართა რკალი და მიიჭრა თავის ‘ნწვრთნელ ა. კობლენცთან.

— მაესტრო, ეს რა ძლიერი მოჭადრაკე ყოფი-

ლა,—წარმოთქვა ტალმა.—ასეთი თამაში არ მინახავს. იგი ძალზე შორს წავა.

ამის შემდეგ მოსკოვში საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე ნონა გაფრინდაშვილმა 170 გროსმაისტერს, ოსტატსა და სხვა მაღალი კვალიფიკაციის მოჭადრაკეთა შორის აჩვენა აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი — 9,5 ქულა 10-დან. ამ წლის სპორტულმა გამოსვლებმა და პარტიების ხარისხმა ყველას დაანახვა, რომ დროის მოკლე მონაკვეთში ნონა მართლაც შორს წავიდა.

ამავე, 1959 წლის შემოდგომაზე ნონა გაფრინდაშვილი ჩაირიცხა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში ინგლისური ენის ფაკულტეტზე. ნიჭიერი მოჭადრაკე გამოირჩეოდა სიბეჯითით სკოლაში სწავლისას. სკოლა მან ვერცხლის მედალზე დაამთავრა. რასაკვირველია, ჭადრაკი ნაწილობრივ მაინც აფერხებდა ფრიადზე სწავლას. მაგრამ ტურნირებზე ყოფნის დროს ნონა ბევრს კითხულობდა, ეცნობოდა მუზეუმებს, ესწრებოდა წარმოდგენებს, კინოფილმებს. ნონა ტკბილმოუბარი, მოკრძალებული, თავაზიანი, კეთილი გოგონაა. აი, ერთი დამახასიათებელი მაგალითი: როცა ვილნიუსში საბჭოთა კავშირის 1957 წლის ჩემპიონატში ლენინგრადელმა ფ. დმიტრიევამ მას პარტიაში ლაზიერი „დაუსვა“, ნონამ აშკარად შეცდომითი სვლის გასწორების ნება მისცა და ფ. დმიტრიევამ მოუგო მას პარტია.

ქართველ მოჭადრაკე ქალთა თამაშმა საერთო აღიარება ჰპოვა. ამიტომ ბუნებრივი იყო თბილისში ქალთა I საერთაშორისო ტურნირის გამართვა სოციალისტური ქვეყნების, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს უძლიერესი მოჭადრაკეების მონაწილეობით. ტურნირში, რომელიც 1960 წლის გაზაფხულზე გაიმართა, ნონა გაფრინდაშვილმა მეორე ადგილი დაიკავა ლარისა ვოლპერტის შემდეგ. მან კარგად ითამაშა უცხოელების წინააღმდეგ. მესამე ადგილზე გამოვიდა მისი მეგობარი მანანა ტოგონიძე, რომელსაც ამ წარმატებისათვის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა.

ტურნირში ნონამ დიდ საჭადრაკო ნიჭთან ერთად გამოავლინა სატურნირო მებრძოლის საუკეთესო თვისებები. იგი ჩინებულად ხედავდა დაფას, სწრაფად ამჩნევდა მასში შენიღბულ ტაქტიკურ მანევრებს, შესაძლებლობებს, თავისებურად აფასებდა პოზიციასა და „თვალის სისწრაფით“ გამოითვლიდა ვარიანტებს, განუწყვეტლივ ეძებდა გართულებას, უშიშრად, გაბედულად მიდიოდა ბწვავე შეტაკებაზე, რადგან დარწმუნებული იყო თავის ძალაში. მან დაგვანახვა იერიშის წარმოებაში მზარდი ოსტატობა. ნ. გაფრინდაშვილმა გამოავლინა თამაშის გართულების ტალანსებური უნარი. აი, სწორედ აქ უნდა ვეძებოთ მისი სტილის „აუტანლობა“, რომელიც არ უყვართ მის მეტოქეებს. გამოაშკარავდა მისი ნაკლიც: უჭირდა თამაში

ძლიერ ოსტატებთან. იგი მათთან არ სჯერდებოდა ყაიმს და ამიტომ მარცხდებოდა. მაგალითად, ვოლპერტთან. ამიტომ საჭირო იყო ბრძოლის დროს მეტი სიდარბაისლის, გონიერებისა და წინდახედულობის გამოვლენა. ეს ნაკლი ნაწილობრივ მან დაძლია საბჭოთა კავშირის 1960 წლის ჩემპიონატში, რომელიც შემოდგომაზე ჩატარდა, მთლიანად კი პრეტენდენტთა ტურნირზე იუგოსლავიაში.

მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა ტურნირის შესარჩევ შეჯიბრებაზე ნონამ მეოთხე ადგილი დაიკავა და პრეტენდენტის უფლებებიც მოიპოვა. ფიდემ მას საერთაშორისო ოსტატის წოდება მიანიჭა. წარმატებამ ყველა გაახარა. საქართველოს პირველად შეეძინა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის პრეტენზიების მქონე მოჭადრაკე.

დიდმა გამარჯვებამ ახალი ამოცანები წამოჭრა ნონასა და მისი მწვრთნელის წინაშე. პრეტენდენტთა ტურნირი უაღრესად სერიოზული და საპასუხისმგებლო შეჯიბრებაა. მასში თავს მოიყრის მსოფლიოს ყველა თვალსაჩინო მოჭადრაკე. ამიტომ ამ ტურნირისათვის მომზადება მოითხოვდა ნონას შემოქმედების გადახედვას, მომავალი მეტოქეების პარტიების შესწავლას, სადებიუტო რეპერტუარის გამდიდრებას და სხვ. ნონა და მიხეილ შიშოვი შეუდგნენ მუშაობას. თეორიაში მეცადინეობის პარალელურად აუცილებელი იყო პრაქტიკული გამოსვლებიც.

ქალთა შორის მსოფლიო პირველობას ჭადრაკში დიდი ხნის ისტორია არა აქვს. 1927 წელს ლონდონში პირველად მოეწყო ასეთი შეჯიბრება. ჩემპიონის სახელი მოიპოვა 21 წლის ჩეხმა მოჭადრაკემ ვერა მენჩიკმა. კიდევ ექვსჯერ შეინარჩუნა ვერა მენჩიკმა ჭადრაკის მეფის ტახტი. მხოლოდ ტრაღიკულმა სიკვდილმა (იგი გარდაიცვალა 38 წლის ასაკში ლონდონის დაბომბვის დროს) დაათმობინა ძას მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ვერა მენჩიკი იშვიათი ძალის მოჭადრაკე იყო. იგი მის თანამედროვე მოჭადრაკე ქალებზე ბევრად ძლიერი იყო, ამიტომ ხშირად მონაწილეობდა ვაჟთა ტურნირებში და კიდეც უგებდა ხოლმე ბევრ საერთაშორისო ოსტატს. სხვათა შორის, მის აქტივშია ორი გამარჯვება მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ მაქს ეივესთან და სამი ყაიმი გროსმაისტერ სალო ფლორთან.

ქალთა შორის მსოფლიო პირველობა ჭადრაკში განახლდა მხოლოდ 1949 წელს. მისი ხელმძღვანელობა იკისრა საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ. მან შეიმუშავა მსოფლიო პირველობების ჩატარების სისტემა, რომელიც გულისხმობს ტურნირების ციკლს სამი წლის პერიოდულობით. მსოფლიო იყოფა ზონებად ტერიტორიის მიხედვით. ზონალურ ტურნირებში გამარჯვებულნი მეორე წელს ერთმანეთს ხვდებიან პრეტენდენტთა ტურნირზე, ხოლო აქ გამარჯვებული მესამე წელს

ებმება ორთაბრძოლაში მსოფლიო ჩემპიონთან. შემდეგ ყველაფერი იწყება თავიდან.

1949-50 წლების მსოფლიო პირველობაზე, რომელიც სატურნირო წესით ჩატარდა, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა საბჭოთა მოჭადრაკემ ლუდმილა რუდენკომ. 1953 წელს მან დაკარგა თავისი წოდება პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ ელისაბედ ბიკოვასთან მატჩში. შემდეგი პრეტენდენტი იყო ისევ საბჭოთა მოჭადრაკე ოლგა რუბცოვა, რომელმაც 1956 წელს სამთა ტურნირში ე. ბიკოვასა და ლ. რუდენკოსთან ბრძოლაში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. მაგრამ 1958 წელს ე. ბიკოვამ მატჩ-რევანშში გაიმარჯვა და დაიბრუნა დაკარგული ტიტული. ე. ბიკოვამ წარმატებით დაიცვა თავისი ჩემპიონობა პრეტენდენტთა III ტურნირში გამარჯვებულ კირა ზვორიკინასთან 1959 წელს.

პრეტენდენტთა IV ტურნირი დაინიშნა 1961 წლის შემოდგომაზე. ზამთარი დაეთმო დაძაბულ შრომას, ჭადრაკის სტრატეგიის, ტაქტიკისა და დებიუტების შესწავლას. ადრე გაზაფხულზე ნონამ მეოთხედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონის წოდება. ზაფხულის პირას გამოდიოდა თბილისის ქალთა II საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, მოსკოვის, მინსკის და თბილისის ცნობილმა

მოჭადრაკეებმა. ტურნირის მეორე ნახევარი ბათუმში ჩატარდა. ნონა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალედ დაიკავა პირველი ადგილი. მან მოუგო ყველა თერთმეტი პარტია უცხოელ და საბჭოთა მოჭადრაკეებს. ამ ტურნირში ნონამ გამოამჟღავნა თაძაშის საერთაშორისო კლასი. ტურნირის შემდეგ პოლონეთის საჭადრაკო ჟურნალის რედაქტორი ოსტატი ვ. ლიტმანოვიჩი მეუბნებოდა:

— შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, ნონა პირველი იქნება პრეტენდენტთა ტურნირზე. ფანტაზიორი არ გეგონოთ. ამ აზრს მიკარნახებს მისი თამაში.

— ალბათ, ასე იქნება,—კვერი დაუკრა პოლონელს საერთაშორისო ოსტატმა ლ. არონინმა,— თუმცა კირა ზვორიკინას ბწვრთნელი ამას არ უნდა ვაბბობდე, მაგრამ რა გაეწყობა, სინამდვილეს ვერსად გაექცევი.

კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ჭეშმარიტი ძალა ნონამ ბუქარესტში, საქართველოსა და რუმინეთის მოჭადრაკეთა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში. ე. პოლიქრონიადესთან პირველი პარტიის წაგების შემდეგ ნონა განსაკუთრებით იყო გამწარებული.

— შეხედეთ, დაუბეჭდავთ კიდეც პარტია გაზეთში. წაგება არ მწყინს, თუ იგი კანონზომიერია. მაგრამ, როცა კარგად აწყობილ პარტიას წავაგებ, მინდა იმ წუთსავე ვიძიო შური.

ამიტომ ნ. გაფრინდაშვილმა ორი მომდევნო

პარტია ისეთი გამანადგურებელი სტილით მოუგო ე. პოლიქრონიადეს, რომ შეშფოთებულმა მასპინძლებმა იგი ა. ნიკოლაუთი შეცვალეს. მაგრამ არც ამ უკანასკნელს დაადგა კარგი დღე.

მაშინ მთელი სიცხადით გამოჩნდა, რომ ნონა ბზად იყო ღირსეულად შეჭიდებოდა პრეტენდენტებს ბსოფლიო ჩემპიონ ე. ბიკოვასთან თამაშის უფლებისათვის.

შემოდგომაზე თბილისს ბსოფლიო ჩემპიონი მ. ბოტვინიკი ესტუმრა. საჯარო ბოხსენებებსა და პირად საუბრებში იგი ბაღალ შეფასებას აძლევდა ნ. გაფრინდაშვილის შესაძლებლობებს. ბან მითხრა, ნონა გაფრინდაშვილი საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურაა საერთაშორისო სარბიელზე, მას შეუძლია წარბატებით იბრძოლოს ბსოფლიო პირველობისათვისო.

მ. ბოტვინიკის სიტყვები სავსებით გამართლდა. ნონამ ვრნიაჩკა-ბანიაში მართლაც მოიპოვა უფლება ხელყოს ბსოფლიო ჩემპიონის ტახტი.

ნონა გაფრინდაშვილის პრეტენდენტობა დიდი მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში. ბსოფლიოს პირველი ჩემპიონის ვერა ბენჩიკის (1906—1944 წწ.) შემდეგ არავის ჰქონია მსგავსი წარმატება 20 წლის ასაკში. ნონამ დიდებით შემოსა ქართული ჭადრაკიც, რომლის ბატიანეს არ ახსოვს ესოდენ დიდი გამარჯვება.

თენგიზ გიორგაძე

შინაარსი

დიდი ბრძოლა პატარა აგარაკზე	5
გამარჯვებული. თ. გ ი ო რ გ ა ძ ე	82

რედაქტორი თ. გიორგაძე
გამომც. რედაქტორი ლ. ცაგარეიშვილი
მხატვარი ჯ. ყავლაშვილი
ეხატვ. რედაქტორი ო. ჯიშკარიანი
ტექრედაქტორი გ. ვეტრეველი
კორექტორი მ. ახვლედიანი

ხელმოწერილია ღასაბეჭდად 4|V-62
ანაწყობის ზომა 41½×7
ქაღალდის ზომა 70×90 1/32
ნაბეჭდი თაბახი 6,5
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,70

უე00333 ტირაჟი 20.000 შეკვ. № 727

ფასი 15 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადულის“ სტამბა.
თბილისი, ფურცელაძის 5.

Типография издательства «Накадули»
Тбилиси, Пурцеладзе 5.